

ქართული  
ენის  
მეცნიერება

# სამშენებლო



გ. მ. მ. მ.

შ ი ნ ა რ ს ი

უკრაინა „ჭეჭილისა“

|  |     |
|--|-----|
| I აბა გამოიცან ვინა ვარ? სურათი . . . . .  | 130 |
| II ყმაწვილებს! ლექსი აკაკისა . . . . .   | 131 |
| III დედა-თავვი (ბიკოვიდან) . . . . .   | 133 |
| IV ზღაპარი-გამოცანა (გაგონილი სოფ. წრომში)<br>ვიორგი სვლანდისაგან . . . . .  | 135 |
| V არწივის მარცხი — (ბიკოვიდან) კუდრაჭისა . . . . .   | 138 |
| VI ავ მუშას ყოველთვის არ ჩაუვლის ზარმაცობა<br>თეოდოროვ-დავიდოვისა — თარგ, კატო თაქთაქი-<br>შვილისა . . . . .                     | 140 |
| VII მელისა განზრახვა ლექსი ნ. ზომდეტეფისა. . . . .   | 145 |
| VIII გოგისა ნაამბობი, კაცნა-ფშეველასა. . . . .   | 147 |
| IX შავ-თავა ყვაფი და ყვითელი ჩიტო იადონი, მამინ<br>სიბირიაკისა (თარგმანი ა. ფ — სი . . . . .                                     | 151 |
| X წვრილმანი: გამოცანები, ანაგრამა, შარადა ღნაკვესი. . . . .  | 155 |
| <hr/>  |     |
| XI გოდება ტყისა, ლექსი გელასი . . . . .  | 159 |
| XII ირემი, სურათი გ. ქუჩიშვილისა. . . . .  | 160 |
| XIII ღროებით ვალდებულ გლეხების განთავისუფლება. . . . .   | 162 |
| XIV მოხუცი მეთევზე (დასასრული) თარგმ. ნ. ენუქიძისა. . . . .  | 170 |
| XV მტკვრის სათავე, ჭოროხი და თამარ მეფე, მგზავ-<br>რის დღიურიდან — ილ. ალსაზაშვილისა. . . . .                                    | 175 |
| XVI პირველ-ყოფილი ადამიანის და ეხლანდელი ვე-<br>ლურების ყოფა-ცხოვრება, ლუნკევიჩისა (გადმო-<br>კეთებული) იტა ნაკაშიძისა . . . . . | 180 |
| XVII ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა ალვა<br>ედისონი). შემდეგი იქნება . . . . .   | 185 |


ჭეჭილის 1913 წლის ხელის მომწერლებს

საჩუქრათ დაურიგდებათ

დასურათებულნი წიგნი.

**ჩვენი მემკვიდრეები**

ქართული  
ლიტერატურა



# საქართველო ნახატებიანი ქურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,  
დაპური, გახდი ყანაო..

ი. დ.

მარტი, 1913

◆ წელიწადი მეოცდამათხე ◆

საქართველო ლიტერატურის მუზეუმი

თ ბ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი „სრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1913



ახს გამოიყვან ვინა ვარ?

# ყვავილებს!\*)



მე რომ ჰატარებ ვიყავი,  
ჰატარებ ბიჭუკება,  
არც ნაკლები არც მეტი  
მაგრე ოდენ თქვენ სება,  
დიდათ მეჩვენებოდენ  
მე უფროსები უკება!

მაგრამ, რომ გავისარდე,  
ცოტა რომ შევისწავლე

და შეგნებით ცხოვრებას  
თვალუური მიმოვაგლე,

ვნახე რომ ასში მხოლოდ  
ორისასში კარგია  
და, დანარჩენი, სხვები  
ქვეყანას არ არგია.

მათი მცნება ძალაა,  
მომრეობა!.. მუჭია!  
და სათაევანო ქვეყნათ  
უსულგულო კუჭია!..

\*) ავტორისაგან გადმოცემული.


და თქვენც კი არ მიჭებაძოთ  
 იმ „მუჭია-კუჭიას“  
 და მით არ დაემსგავსოთ  
 სულ უბრალო რამ ჭიას!

—  
 სამშობლოსთან კიევარდესთ  
 ერთად ქვეყნიერება!..  
 მხოლოდ სიევარულშია  
 ვაყის ბედნიერება!!

აკაკი.



## დედა-თავკვი.



ქარა, დედა, ჩქარა მომეცი ვეელი და ჰური, აჩქარებს დედას ექვსი წლის ვანია. ეს არის ესლა გაიღვიძა და გაიგო, რომ მამა მიწის სახნავათ წასულიყო. — უნდა წავიდე ჩქარა, მამას უშველო მუშაობაში.

ვანიას ძალიან უყვარს მამა, მუშაობის დროს ის არ შორდება მას და რითიც შეუძლია შევლის. ხვნის დროს გუთანს მისდევს უკან და გუთნისაგან ამობრუნებულ ბელტებს აცლის ქვებს, ბალახის ფესვებს და ისვრის შორს გზისკენ. ზოგჯერ ისე დაიღლება სორომ სალძე, ღამო ხანს იქვე ხნულებში ჩაემინება.

აი დღესაც, ის ამაყათ მისდევს მამას უკან. მშვენიერი გაზაფხულის დილაა. ხეებზე კვირტები იშლება, მზე მსურვალეთ ათბობს არე მარეს, დედა-მიწას ორთქლი ასდის; ხეებზე ჩიტები მხიარულათ ჭიკჭიკებენ.

— თავკვი, თავკვი! დაიუვირო უცბათ ვანიამ.

მამა მობრუნდა, უნდა საჩქაროთ მოეკლა თავკვი, მაგრამ შეჩერდა და მინდვრის თავკვისკენ ვანიასთან ერთათ გაეშურა. თავკვი მარტო არ არის, მას კუდზე მოსჭიდებიან სუთი ჰაწია თავკვის წრუწუნა. დედა გაჭირებით მიათრევს მათ. წრუწუნები ისეთი ჰაწიები

არინან, რომ თითონ არ შეუძლიათ გაქცევა და ამიტომ დედა-თავკვი ცდილობს როგორმე იხსნას ისინი სიკვდილისგან.



— ნუ მოჭკლავ, მამილო, მაგათ, ესვეწება ვანია — სედავ, როგორ შეეშინდა საწუალს და შვილებს მაინც თავი არ დაანება.

— კარგი, ხელს არ ვახლებ, არას დაუშავებ — ეუბნება მამა — მეც კი შეძეცოდენ საწულები. რა ვუერთ რომ ეგენი ბევრ ზურს გვიფუჭებენ! არ გახსოვს შარშან, როგორ მარცყალი არ შეარჩინეს ხელეულებს. ვანიას კარგათ ახსოვს შარშანდელი ამბავი, მაგრამ მაინც ძალიან უხარინან, რომ დედა-თავკვი თავისი წრეწუნებით სიკვდილს გადაურჩენ.





# ზღაპარი-გამოცანა

(გაგანილი სოფელ წრემში).



ყო და არა იყო რა, იყო ერთი ძლიერ ღა-  
ტაკი კაცი. ერთი გამხდარი ხარისა და სა-  
მი დღის მიწის მეტი ქვეყანაზე არა გააჩნ-  
და რა. ეს მიწა სათივეთა ჰქონდა დატოვებული.  
ერთხელ იფიქრა ამ ღარიბმა კაცმა: ეს სათივე მძევს  
და ხარისა მუხსო, მოდი და ამ სათივით გავასუქებ  
ამ გამხდარ ხარისა და ეგება რიგიან ფასში მანც  
გავეიდოვო.

ასეც მოიქცა.

ეს ხარი ძიუვანა სათივეში, ხარმა მოსძოვა სა-  
მი დღის სათივე და იმოდენა გაიხარდა, რომ სამი  
დღის მიწაში თითქმის ველარ ეტევიდა. ამ დროს  
წამოვიდა ციდან ორბი, დაეცა თავსა და აიტაცა ეს  
უხარ-მახარი ხარი ჰაერში, თან მიფრინავდა და თა-  
ნა სჭამდა.

გამოხრა ბეჭი და გადმოაგდო ძირსა. ეს ბეჭი  
ჩუვარდა თვალში ერთ მეცხვარეს, რომელიც იქვე  
ცხვარს ამოვებდა. მეცხვარემ ცოტა ხანს ვერა გაიგო  
რა, მერე კი თვალმა ტეხა დაუწყო. მოისვა თვალზე  
ხელი და სთქვა: „ეს რა ამბავია, მგონი თვალში რა-  
ღაცა ჩამვარდნიაო“. დაუძახა ამხანაგს, რომელიც  
იქვე ცხვარს უღვა.

ის მოვიდა, ჩასედა თვალებში, კარგად გაუსინჯა, ამოაცალა თვალიდან ბეჭი და გადახადო. ზედ იმ ბეჭზედ გაშენდა საუცხოოო ქალაქი, რომელსაც დაერქვა სასელათ: ბეჭა. ამ ქალაქის მკვიდრთ და იწუეს მშვიდობიანი ცხოვრება. გავიდა რამოდენიმე ხანი და ამ ქალაქს უბედურება ეწვია: უოველ ღამ მთელი ქალაქი ინძრეოდა ხოლმე. შიშით თავსარდაცემული მცხოვრებნი მთელ ღამეებს ქუჩაში ათენებდენ, რადგან ეშინოდათ სახლები თავზე არ დაგვექცესო. ბევრი იფიქრეს იმის თაობაზე თუ როგორ უშველოთ თავსაო და ბოლოს გადასწუვიტეს: მოდი უდარაჯოთ და გავიგოთ თუ რა ანძრევს ამოდენა ქალაქსაო.

ერთ ღამეს უდარაჯეს თოფებით, მრავალი იარაღით და ნახეს, რომ შებინდების დროს მოცუნცულდა ძელა, კუდა-გრძელა, რომელიც მივარდა გამწარებული ბეჭსა და დაუწყო ხვრა. დარაჯებმა დაინახეს რომ ამოდენა ქალაქმა დაიწყო ნძრევა, მოიძარჯვეს მარდათ თოფები და ძელას ზედი-ზედ დაახალეს და იქვე მოჰკლეს. მივიდენ და ძელას გატყავება დაუწუეს. ნახევარი კვერდი რომ გაატყავეს, ახლა მეორე კვერდის გატყავებასაც უნდა შესდგომოდენ, მაგრამ სამწუხაროთ, ძელა იმოდენა იყო რომ ვერ გადაბრუნეს და თავი დაანებეს.


ძელის ნახევარი ტყავი მთელ ქალაქს ეყო. ეგულამ შეიკერეს ქუდები და მრავალნი მისი ბეწვით მოირთვეს. მკვდარ ძელასთან მოვიდა ერთი მოხდენილი ტანის, ღამაში ქალი, რომელსაც ერქვა სასელათ

გოლიათთა, ქაღმა წამოჭკრა ხელი ძელას, გადაბრუნა, გაატევა და ეს ნახევარი ტეავი წაიღო შინ. ამ ტეავისგან თავის ჰატარა ვაჟს ქუდი შეუკერა, მაგრამ ეს ტეავი არ ეყო ქუდს: ეალამა-ლა დააკლდა. ადგა გოლიათთა ქალი და ქუდს ეალამა მაუდისა გამოაკერა და დასურა თავის ჰატარა ვაჟსა.

რომელი უფრო დიდი უოფილა, ჰატარა ძეგობრებო: ხარი, ორბი, ძეცხვარე, ძელა თუ გოლიათთას ჰატარა ვაჟი?

გიორგი ხალარძე.





# არწივის

## მარცხი

ელი კლდის წვერზე შემომჯდარა არწივი. ძალიან დაღაღულია და მშვიდი. ის გაშტერებით გაჭურებს თავისი გამ-

ჭრიახი თვალებითკლდის ძირში გაშლილ ზღვას. სუდავს, რომ შორს თეთრათ რაღაც გამოჩნდა. არწივმა გააჩნია, რომ ეს ცელ მანგალის გუნდი\*) უნდა იყოს, იმან კარგათ იცის, რომ ისინი ნაპირ-ნაპირ მიმავალ თევზებს დასტრიალებენ.

— ურიგო არ იქნება კლანჭებში ჩაგდება ერთი კბი თევზისა, მაგრამ ცელ მანგალი სჯობია — ფიქრობს არწივი და ისევ ისე გაშტერებით გაიფურება ზღვის სივრცეში, ალბათ ელის ცელ მანგალის გუნდის მოახლოვებას.

\*) ამ ზღვის ფრინველს ფოცხსაც ეძახიან

ძალიან მომთმენი ფრინველია არწივი, ის თითქმის ორი საათის განმავლობაში ზის ასე გამტკერებული. აკერ ცელ მანგალის გუნდიც მოასლოგდა. უჭ, რადენი არიან? არწივი უცბათ მოსხლტება კლდეს და დაემუხება ცელ-მანგალის გუნდზე, მაგრამ არწივს ბედი უმტუნებს! ფრინველთა გუნდი შეაძინევს მას. ისინი დროზე განზე გაიწევენ და მერე უცბათ მთელი გუნდი ერთად დაესევა არწივს და შავ დღეს დააუენებს: აქაიკ გამოაცლიან ბუბოულს, უკორტნიან თავს და ერთმა კინაღამ თვალიც გამოსთხარა.

დაჩენქვილი, დაკოდილი და გაბრახებული არწივი მტერს ძლივს თავს აღწევს და ისევ თევზს უბრუნდება, რომელსაც ადვილათ იჭერს ზღვაში.

კურაჭა.

(თარგმანი ბიკოვიდან)



# ავ მუზას ზარმაცოზა ყოველთვის არ ჩაუვლის.

## I.

(ფეოდოროვ—დავიდოვისა)



ფანჯრის ჩაწივით ბუხი დასკუვებულყო.  
ის რილათიც შეწუხებული. მწარედ კვნე-  
სოდა, ოსრად, თათებს აწვევებდა აქეთ-იქით. თან  
ცხარე ცრემლებით ტიროდა.

— ვაი ჩემ თავს, უი მე უბედურს, რა ვქნა,  
რა მეშველება, ოს, უს, ვახვანებდა ბუხი.

ამ დროს სამუშაოთ წასულმა ფუტკარმა ჩამო-  
უქროლა და თუძცა ძალიან ძაქიქარებოდა თავის ბი-  
ნისკენ, მანც გულმა ვერ მოუთინა, შეჩერდა, მო-  
უჯდა გვერდით ბუხს და ტკბილათ და საქმიანი კი-  
ლოთი შეეკითხა:

— რა დაგმართინათ, ქაღბატონო, რა გაწუხებთ?  
მაძბეთ, კეთევანე, ოღონდ მოკლედ, მეჩქარება!

მწუხარების დროს ყოველი ტკბილი სიტყვა და  
თანაგრძნობა უფრო აუხუეებს გულს და ცრემლებს  
მოჭკვრის, ჩვენ ბუხსაც ასე დაემართა: ჯერ კარგა  
ზანს ქვათინებდა, მერე თათები მოისვა ტუჩებზე,  
პირზე, ჩაახველა და ბოლოს ტირილის კილოთი  
დაიწყო:

— თქვენ არც კი დაიჯერებთ, როგორ ვიტან-  
ჯები. მთელ ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ წვენასა და  
მეურაცხეოფას ვსედავ ადამიანებისგან. სადაც და ვი-

საც კი მივეკარები, უველა მიტატანებს, მტუქსავს, მლანძღავს და ცდილობს რაც შეიძლება ძაღვ მომიშოროს თავიდან. მე კი, მე სცოდნავს ისე მივევარს და იმდენათ ვკნობი უველას, რომ სრულიად მოურიდებლათ წამოვასკუზდები სოღმე იმ განსაცარ ქმნილებას—ადამიანს ხან ცხვირზე, ხან შუბლზე, ხან ტუჩებზე და ხან ხელებზე. აბა, წარმოიდგინეთ, განა სხვა ვინმე გაბედავს ამისთანა სითამამეს?

— ჰოო... ჩაფიქრებით წაიბზულია ფუტკარმა, — მართლაც, ხალხი მეტათ უსამართლოა; მე კარგათ მესძის თქვენი აღკვება და მწუსარება. ისინი აღბათ სამუალებას არ გაძლევენ თქვენი კარგი განძრასვა განმოიხინათ.

— მაინც, აგრეა, ნაღვლიანათ უპასუხა ბუჰმა. — ისინი მხოლოთ იმას ცდილობენ გამაგდონ, მომიშორონ თავიდან და თვითონაც არ იცინან რაზე ძღვენიან ასე სასტიკათ.

ფუტკარი ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

— მე ვხედავ, რომ თქვენ ექვსი თათი გაქვთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრი მუშაობა შეგეძლებათ და მუშაობის უნარიც გექნებათ. ადამიანს კი არ გეგუნართ, რომელსაც მხოლოდ ორი ხელი აქვს იმიტომ, რომ ჩვენი სკები გაცარცვოს და ორი ფეხი კი იმიტომ, რომ ჩვენ დვენას გაექცეს. აბა დაფიქრდით კარგათ, ქაღბატონო, იქნება გნებავდეთ ჩვენ სკაში დაბინავება? იცით, ჩვენ მუშა ხელს სანთლით დავეძებთ, სამუშაო ბევრია. ისე რომ, თქვენი მუშაობის ხალისი აღვიღათ იქნება დაკმაყოფილებული. ერთი სიტყვით, ჩვენთან ჩინებულათ იკრძნობთ თავს.

ბუსმა ჩინვირი ჩამოუშვა და საქმიანის კილოთი შეეკითხა!

— თაფლი, თაფლი კი საკმაო გაქვთ?

ფუტკარმა გაციინა და უზასუნა:

— ნუ გეშინიანთ, თაფლი ეველას გვეუფა. და თან შეეკითხა:— რას მიწასუსებთ ჩემ წინადადებაზე, თანახმა ხართ წამოხვიდეთ, თუ არა?

— ოო, დიდადაც თანახმა ვარ.

## II.

სკაში ბუსი ძარტლა მეტათ კარგათა გრძნობდა თავს. უოველ კუთხეში საითაც მიტრიალდებოდა თაფლსა სედავდა და უხაროდა.

— უუურეთ ერთი, აქეთ თაფლი, იქით თაფლი, ეველგან თაფლი— იმანდა გულში ბუსი. თან სჭამდა და სჭამდა. გამოდებოდა კარგათ, დაიძინებდა, დაისვენებდა და როდესაც გამოიღვიძებდა ისევ თაფლს დაუწევებდა ჭამას.

ბოლოს, ცოტა არ იყოს, ფუტკარებმა აღმაცვრათ დაუწვეეს ბუსს ცქერა და ერთ დღეს ორმა გამგე-ფუტკარმა ჰკითხეს:

— ნება გვიბოძეთ, ქალბატონო, გკითხათ: როდის ინებებთ მუშაობის დაწევას?

— ოს, რომ იცოდეთ, ჩემო კარგებო, ჯერ რა მშინი ვარ! ვედრებით შესძახა მათ ბუსმა და ამით მოიგო კიდევ მათი გული, რადგან ფუტკარებს ასეთი ჩვეულება აქვსთ: ჭამეთ რამდენიც გინდათ, ევლამდის გამეხით, ოღონდ კარგათ იმუშავეთ, იმუშავეთ



სანამ არ მოიქანცებით; მშიერი თუ ხარ, მაშინ ვერ დაგვაბლებენ მუშაობას. ბუხიც სარგებლობდა იმათი ჩვეულებით და სძირად მოუწონებდა ფუტკრებს ამ ადათს.

— სწორედ ჩინებული, შესანიშნავი ჩვეულებააო, იტყოდა ხოლმე ბუხი.

გავიდა კიდევ ორი საძი დღე, მაგრამ ჩვენ ბუხს ფიქრითაც არ მოსდიოდა მუშაობა. ფუტკრებმა ახლა კი ვეღარ მოითმინეს და ბუხთან მოსალაპარაკებლათ მისი მომეხანი ფუტკარი გაგზავნეს.—თუ ღმერთი გწამთ, წადით, უთხარით რამე, ის ხომ თქვენი შუამდგომლობით არის აქ მოსული.

ფუტკარიც დაღონებული, უკმაყოფილო, მივიდა ბუხთან და საქმიანის კილოთი მიძარტა:

— ეური დაძიგდეთ, ქალბატონო: ახლა კი მკონია საკმაოთ დაისვენეთ, გამომქნით, აქ ხომ არავინ გტუქსავთ, არავინ გაგდებთ და მკონი დროს საქმეს ხელი მოკიდოთ.

— დიაღაც, დიაღაც, ჩემო მეგობარო, დიდის სიამოვნებით მიუგო ბუხმა და მოწიწებით თავი დაუკრა ფუტკარს.—მაგრამ მარტო მე ერთს—რითი შემოდლიან მოგესძაროთ? განა უძჯობესი არ იქნება, რომ ხელოსან ბუხთა სასოგადოება შევადგინოთ და ეველამ ერთად ვიმუშაოთ?

ფუტკარი ცოტა დაფიქრდა და შემდეგ უხასუსა:

— რატომ, არც ეგ იქნება ურიგო! ერთი სიტყვით მოიქეცით ისე, როგორც ჯობდეს, ოღონდ ნუ შემარცხვენთ, გთხოვთ.

— ოო, ჩემო მეგობარო, მაგას რას მიბრძანებთ, განა მე ვინა გკონივართ, მოგასსენებთ, ბატონო, რომ ამ რამდენიმე დღეში ათასი ბუხი იქნება თქვენ განკარგულებაში.

— ძალიან კარგი! უპასუსა ფუტკარმა, თავის დაკვირვით და გატრილდა.

### III.

ბუხმაც მართლა გულ-მოდგინეთ დაიწყო მუშაობა: არ გადაჩნა არც ერთი კუნჭული სკისა, რომ რამდენიმე ათითსუთმეტი კვერცხი არ დაედო. თავისებურათ მუშაობს ბუხი და თან ეელთაძდის თაფლში დასცურავს. რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც სკაში აუარებელი ახლათ გამოჩეკილი ბუხები გაჩნდნენ. ასტყეს ბზუილი, ერთი აურ-ზაური და ხმაურობა! — გვიან, გვიან, ჭამა გვინდა, და მძიერი მკლებივით მიესივინ მზამზარეულ ფუტკარების გაკეთებულ თაფლს და ფუტკარებს ისეთი თავზარი დასცეს ამ მოულოდნელობით, რომ უველანი ერთ კუთხეში მიიკუნჭენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— ეს რა ამბავია, ვინ არიან, საიდან მოვიდნენ?


ფუტკარებმა რასაკვირველია იმავე საღამოს უველა ბუხები გამოჩეკეს სკიდან და ჩვენი ახლათ გაჩენილ ბუხთა წინაპარი ისევე შემოჯდა იქვე ხის ტოტზე და დაიწყო ჩვეულებრივი კვნესა-ტირილი:

— უუურეთ ერთი, გამოგვრეკეს ერთიანათ მაგ საძაგლებმა, ავაზაკებმა, აი თქვე ასეთ-ისეთებო, ბურტყუნებდა ბუხი: — ცხოვრება ჩაგვიმწარეს ჩვენ საცოდავ ბუხებს, მოსვენება არა გვაქვს ამ არამზადებისაგან.

(თარგმანი).

კატო თაქთაქიშვილი.

# მელას განზრახვა.



აუძღურდა ერთი ტურა:  
სენი რაღაც შეეზარა;  
ამ ამბავმა მეზობელი  
მელა მეტად გაახარა.

მიცუნცულდა გლეხთან,  
უთხრა:  
„ნათლი, თუ რომ გამამ-  
ღებო,  
მაგიერად, ჩემს კუდს ვფი-  
ცავ,

ერთ ტურის ტყავს გაახლებო!“.  
ამ სიტყვებზე უნებურად  
გლეხს უღვაშში ჩაეცინა,  
მაგრამ აზრმა ოსტატურმა  
უცბათ თავში გაურბინა.

მელას ჰკითხა: „შენ ის ტყავი  
აქვე გაქვს, თუ შორს სადმეო:  
სამსახურში სამაგიერო  
ხელის ხელად მინდა მეო“.

შეკრთა მელა, მაგრამ მაინც  
მორთო სიტყვა გაბედული:

„მე ის ტყავი აგერ ახლოს  
 ტეეში მახვსო დამალული“.

— „მაშ, მე საჭმელს წამოგიღებ.

შენ იმ ტყავთან მიმიძენი;  
 ჩემი მომე, შენსას მოგცემ,  
 დაჯექი და გამოძენი“.

საჭმლის სუნმა ტანში ჟრჟოლა  
 აუტეხსა მელას მსუნაგს,  
 წინ წაუძღვა იგი გლესს და  
 მიაყენა ტურის ბუნაგს.

უთხრა: „აი ამ სოროში  
 შენახული მე მახვს ისო:  
 ჯერ გამაძღე და შემდეგ კი  
 ფიქრი ნუ გაქვს სასუიღლისო“.

გლესმა უთხრა: ამ სოროში,  
 ხედავ, რომ ვერ შევეტევი?  
 შედი შენ და გამოიღე,  
 მე სომ ვერსად გაგექცევი!...

სიფრთხილით და ფესაკრეფით  
 გაუსწორდა სოროს მელა,  
 შეჭეო ცხვირი, შემდეგ თავი,  
 იწეო შესვლა ჩელანელა.

ზაგრამ ამ დროს გლესმა მელას  
 წაატანა კუდში ხელი:  
 იგდო, მოჭკლა და განსადა  
 ბეწვიანი სამოსელი...

ნ. ზომლეთელი.

# გოგონას ნაამბობი



ანო, წამო, ჯერი გადაურბენე მე-  
კრამიტეს—გამოსძახა დედამ ჰატარა  
ნანოს, რომელიც ესოში დაკეფილ ბაღას აჭმევდა  
ინდაურის ჭუჭულებს...

მკვირცხლმა ნანომ სწრაფათ მიიღბინა დედას-  
თან. დედამ გამოაწოდა ტაბაკზე დაწეობილი ჰურე-  
ბი და საჭამადით სავსე კოჭობი; თან დაავალა — და-  
ბრუნებისას რუდან ბატები წამოესხა. მესობლის ეზო-  
ზე მიძავალ ნანოს უკან გაჭევა ჰატარა დათა, რომ  
მელიც ქალაქში, სკოლაში სწავლობდა და საზაფხუ-  
ლოთ სოფელში იყო მოსული.

ჩვენმა ჰატარმა მესაფრებმა მეცობრულათ გაიყვეს  
ჯერი წასაღებათ და ცურცურულით გაუდგენ ბილიკს. ბი-  
ლიკი უანახე მიდიოდა. ოქროს ფერი თავ-თავები თავ-  
დახრილები ერთმანერთს ნაღვლიანათ ეპოტინებოდნენ.  
ნელი სიო დასრიალებდა მხეხე მოელვარე უანის სივრ-  
ცეზე. აქაიქ მწვერის ჭეიფ-ჭეიფი ისმოდა. ჰაერს მესრის  
მომხიბლავი ჰოროველა აკრთობდა. ფრინველები სი-  
ამოვნებით დასრიალებდნენ ცის მეუდრო სივრცეში;  
ჩამწკრივებულ, წნორ-ვერსვები იღუძალ ზღაპარს უამ-  
ბობდნენ მოჩუხჩუხე რუს, რომლის სურმუსტ ნაპირებს

ამშვენებ დენ ღთასნაირი ევაგილები. რუც თავის ძხრით ნაღვლიან ნანას უძღვროდა ტურფა კიდევებს, ვერცხლის ფერი ღაზღაზით მიაგორებდა ძხის სსივებზე მოციმციმე სვირთებს!..

ჩვენმა მკვავრებმა გაიბინეს რუხე წაგდებულ ხიდზე და ძიუახლოვდნ ქარსანას. ქარსანა გპელი წნული სახლი იყო—კრამიტ გადახურული. გვერდზე მრგვალი რაღაც ჭქონდა ამენებული. ნანომ თავის თანამკვავრით შეიბინა ქარსანაში და აქუჩებულ ღამეზე დაღაგა ჯერი. ქარსნის კედლებს გარშემო ბოძები ჭქონდა შემომწკრივებული. ბოძებზე წაწეობილი იყო განიერი ფიცრები. ფიცრებზე თინის კრამიტები იყო დაღაგებული. დათა ჰირველათ იყო სოფელში. კრამიტიც აქ სოფელში ჰირველათ ნანა... ორი ხელებ გადაკელთილი ხნიერი კაცი დახვდათ მათ იქ.

„ოჰ! მოხვედი, ჩვენო მერცხალო!.. შესძახა გოგია მეკრამიტემ და მოტანილ ჯერს გვერდზე მოუჯდა... ასევე მოიქცა მისი ამხანაგიც. ჰატარა დათა კი ამასობაში გაცელებული ათვალიერებდა ქარსნის მოწეობილებას.

— მოიცა, შვილო, ჯერს გავათავებთ და კოჭობი უკანვე წაიღე.—უთხრა ისევ სიცილით გოგიამ ნანოს და თან დათას შესედა!

„რა, მოგწონს ჩვენი ქარსანა, ჰატარავ,—შეეკითხა სიცილითვე ისევ გოგია დათას და თან დაუმატა: „თუ გინდა მოდი სოფელში ჩემთან და გასწავლი გააკეთებას.

დათამ შესედა გოგიას და თავათაც გაიღმა.

— როგორ აკეთებთ, ან რად გინდათ კრამიტი, ბიძიაჲ?.. — შეეკითხა მერე დათა გოგონას...

— ასე ვაკეთებთ, შვილო, უთხრა გოგონამ, — თიხას მოვთხროთ სოლმე, ჩაუვრით ინდე, ე ძაგ ოთხკუთხ სის უუთში, დავსელავთ, შემდეგ ამოვიღებთ ნიჩბით და აი ემ დასვასე \*) ვაწუობთ. ჩემი მეგობარი აგუნდავებს. მე ვაკეთებულ გუნდებს ამ ყაღიბში ვაწუობ და სელით ვათხელებ, გათხელებულ თიხას ქომუნასე \*\*) ვსდებ და ვაფასებსე \*\*\*) ვაწუობ გასამრობათ. გაშრობის შემდეგ, შვილო, გარეთ ქურახ ვაქვს; რეკალია, დაბლა თაღები აქვს გადაუვანილი, ისე რომ ცეცხლი შეინთება. თაღებს ადგილები აქვს დარჩენილი, რომ ცეცხლმა იშუშოს... ქურახში ვაღაგებ გამხმარ კრამიტს, რომელსაც ალიხს ვეძახით. ერთ დღე-ღამეს გაუქრობელი ცეცხლი გვინთია. შემდეგ თან-და-თან ვანელებთ ამ ცეცხლს. ბოლოს სევით ვაღაგებთ ქურიდან წითლათ დამწვარ კრამიტს და ვუიღით. ქალაქში და სოფელში უიდულობენ და მით სახლებს ხურავენ, ჩემო კარგო, დაათვა გოგონამ.

შემდეგ ორივე მეკრამიტეები წამოდგენ და დაუწევს კრამიტს ჭრა... დათამ უფრო ნათლათ წარმოდგინა გოგონას ნაამბობი და ღრმათაც ჩაიძარხა

\*) დასვა ჭქვიან — მავიდას, რომელსედაც დასელილ თიხას აგუნდავებენ.

\*\*) ქომუნა ხის ყაღიბია, რომელიც ფორმას აძლევს გათხელებულ თიხას.

\*\*\*) ვაფასა ჭქვიან ფიცრებისგან ვაკეთებულ თაროს, რომელსედაც ალიხ-კრამიტს აშრობენ.

კულში, რათა ქალაქში რომ დაბრუნდებოდა ეამბნა ამხანაგებისთვის კოვიას ნაამბობი.

ნანომ და დათამ სელ-ძეორეთ წამოაუღეს დაცა-ლიერებულ ჭურჭელს ხელი და ბატების ამოსარეკათ გაექანენ, რომელნიც იქავე რუში სიამოვნებით ეურეუძალაობდენ.

კიკნა-ფშაველი.





# შავ-თავა ევაჟი და ეკითხული ჩიტო იადონი

(ზღაპარი მამინ სიბირიაკისა).



სეხედ ევაჟი იჯდა და ხეს ნისკარტს უკაკუნებდა. უცებ მიიხედ-მოიხედა და დაინსაჟლა „ევაჟევაჟა“. ღობესედ კატას ეძინა, შეძინებული ის კინაღამ ჩამოვარდა და ბუსდუნს მოჭყუა: „უი შე, შავ-თავა, აგრე რა გაუვირებს? ნეტავი რა გინახიან?“

— დამანებე თავი, შენთვის არა მცალიან, განა ვერა ხედავ რამდენი საქმეები მაქვს, ევაჟევაჟა.

— საცოდავო, გეტუობა მუშაობით დაღლილი ხარ! დაცინვით უთხრა კატამ.

— ჩაიწვიტე ხმა, შე მუქთახორა, არამხადავ, მეტს არას აკეთებ, მთელი დღე მხეხე ხარ გაშოტლი, ჩემი ფეხი კი დილიდან არ დამდგარა. ათი სახლის ბანი მანც მოვიარე, ეველა ფერი დავათვალიერე, ეველა კუთხეები გაჟსინჯე. ახლა კიდევ სამრეკლოზე უნდა ავფრინდე, ბახარში უნდა წავიდე, ბოსტნეულობა უნდა დავათვალიერო. ნეტავი, რას გემუსაიფები!

ერთი კიდევ დააკაკუნა ნისკარტი, დაემხადა გასაფრენათ და ის ის იყო უნდა გაფრენილიყო, რომ უცებ მოესმა რაღაც საშინელი ხმაურობა, ჩხავილი.

მოფრინავდენ ბელურები, ეველასე წინ კი მოფრინავდა ერთი ჰატარა ევითელი ჩიტუნია.

— დაიჭით, დაიჭით, არ გაუშვათ, ჭეიპინებდენ ბელურები.

— რა ამბავია, რა მოხდა, დაიფვირა ევაჰმა და დაედევნა მათ.

ევითელი ჩიტუნია ფრენით მოიქანცა, გაეშურა ერთი ჰატარა ბაღისკენ, სადაც ბევრი ბუჩქები იდგა. უნდოდა ბელურებისაკენ თავი დაესწია. ჩაიმალა ერთ ბუჩქის ძირში. ევაჰი იქვე დაბადა.

— შენ ვინა ხარ? დაეკითხა ევაჰი.

ამ დროს მოცვივდენ ბელურები და ნისკარტით ცემა დაუწიეს.

— რათა სცემთ, შეეკითხა ევაჰი.

— რათ არის ეკ ევითელი, დაიჭეიპინეს ბელურებმა.

ევაჰმა შეხედა ჩიტს—მართლაც სულ ევითელი იყო და სთქვა:

— თქვე მოუსვენებო, ეს სომ ჩიტი არ არის, განა ვის უნახავს ამისთანა ჩიტი, გაეთრიეთ აქედან, მინდა მოველახარაკო ამ უცნაურ არსებას. მე ვიცი და ამან. ალბათ იგონებს, ფრინველი ვარო.

ბელურებმა ეველამ ერთი კიდევ დაიჭეიპინეს, მაგრამ რას გააწეობდენ, ევაჰის მოძღურება ადვილად არ ჩაუვლიდათ, ერთი რომ ჩაუკაკუნოს ამათ თავში თავისი ძმლავრი ნისკარტით—მშვიდობით, ცოლო და მუილო.

განდევნა თუ არა ევაჰმა ბელურები, დაუწეო ევი-

თელ ჩიტუნისას გამოკითხვა. საბრალოდ მლივის სუნ-  
თქავდა და თავისი შავი თვალებით საცოდავათ შეს-  
ცქეროდა მას.

— შენ ვინა ხარ? კვლავ დაეკითხა ევაგი.

— მე? მე იადონი ვარ.

— იცოდე არ მომატყუილო, თორემ ვაი შენს  
ტუავს. მე რომ არ დაგსწრებოდი შავს დღეს დაგაუე-  
ნებდენ ბელურები.

— გეფიცები, იადონი ვარ.

— საიდან მოხვედი?

— მე ვცხოვრობდი გალიაში. იქ დავიბადე, იქ  
კავისარდე, მეც მოვინდომე ფრენა, როგორც სხვა  
ფრინველები დაფრინავდენ. გალია ფანჯარასე იდგა.  
ერთხელ ერთმა ჰატარს გოგონამ წყალი მომიტანა,  
გალიის კარი ღია დარჩა, მე გამოვფრინდი. დიდ-  
ხანს ვიფრინე ოთახში, მერე ვნახე ღია ფანჯარა და  
მოვკურცხლე ბადისკენ.

— რას აკეთებდი გალიაში?

— მე კარგი გალობა ვიცი.

— აბა, ერთი, იგალობე.

იადონი მოჭევა სტვენას. ევაგს გაუკვირდა.

— ამას ეძახიან კარგ გალობას? ხა-ხა-ხა! რა  
სულელი ყოფილა შენი ჰატრონი. თუ ძარბლაც ვინ-  
მე არის კარგი მგალობელი, ეს მე ვარ. ამას წინეთ  
ერთი ისეთი დავინახავლე, რომ კატა შიშით, კინაღამ  
ღობიდან ჩამოვარდა. აი, გალობა ამისთანა უნდა.

— ვიცნობ იმ კატას, საშინელი ცხოველია, რამ-  
დენჯერ მოსულა ჩემ გალიასთან. თვალები ცეცხლი-

ვით უნათებს, ბრჭყალებს რომ გამოუშვებს თავსარი მეცემა.

— ეველას ეშინია ამისი. ის სომ დიდი ეშმაკია.

— ეკ ეველამ იცის, საშიში კი სრულებით არ არი, მაგრამ ამაზე შედგეკ მოვილანარაკოთ. ძანც არა მჯერა, რომ შენ ნამდვილი ფრინველი იყო.

— ღმერთს გეფიცები, დეიდა, მე ფრინველი ვარ, ნამდვილი ფრინველი, ეველა იადონები ფრინველები არიან.

— კარგი, კარგი, ვნახოთ. ერთი შითსარი, როგორ გინდა გამოიკვებო თავი.

— მე განა ბევრი მესაჭიროება: რამოდენიმე ძარცვალი, ცოტა შაქარი, აი ჩემი სახრდო.

— ერთი უუურეთ ამ ქალბატონს, უშაქროთ კი ვერ გასძლებ? ნეტავი ძარცვლები ვიძოვნოთ სოლმე. მოდი ერთათ ვიცხოვროთ, მე მშვენიერი ბუდე მაქვს სესედე, გინდა?

— მადლობელი ვარ. ბედურები...

— სულ ჩემთან იქნები, ვერაჟინ მოგეკარება, არამც თუ ბედურებმა, ეშმაკმა კატამაც იცის ჩემი ხასიათი, მე სუმრობა არ მიუვარს.

იადონმა გული დაიმშვიდა და ევავეს გაჭყავა.

— არა უშავს რა, იფიქრა იადონმა, ბუდე კარგია, თუ ხმელი ჰური და შაქარი ვიძოვნე, სულ კარგათ ვიცხოვრებთ.

\*  
\*  
\*

იადონმა და ევავემა დაიწიეს ერთად ცხოვრება. ევავეი ხანდისხან ბუხლუნებდა, მაგრამ ავი გულისა არ იყო. ერთი დიდი ნაკლი კი ჰქონდა: ეჭვიანი

იყო. ეკონა, რომ უველა მას დასცინის, მასხარათ იკდებს.

— რითი არიან სულელი ქათმები ჩემსედ უკეთესნი? რის მაქნისი არიან მტრედები! მაგრამ მათ უფროსი სოლმე საკენკს. ისინიც სომ სულელი ფრინველები არიან. აბა ერთი მივუხსლოვდე მე! ღმერთო, რა ამბავი ატუდება—სულ კისრის ტყვით გამომაგდებენ, განა ეს საკადრისია? მერე რანაირად ილანძლებიან „აი შე ბაიუშო უვაზოო“. განა არ შეგიძინებია, რომ მე უველაზე უკეთესი და ლამაზი ვარ? მართალია არ ვარცა თავისი ქება, მაგრამ თითონ ისინი მაქებენებენ თავს, ავრე არ არი?

იადონი უველაფერში ეთანხმებოდა.

— მართალია, შენ საუცხოვო ფრინველი ხარ.

— თუთიუშებს სომ ინახვენ გალიებში, უვლიან. რითი არიან ისინი ჩემსე უკეთესნი? რომ იცოდე მათი სისულელე. ევიწილის მეტი არა ისმის რა მათგან, ვერც კი გაარჩევ რას ამბობენ.

— ჩვენცა გვევანდა ერთი თუთიუში. უველას მოაბეზრა თავი.

— განა ცოტაა ისეთი ფრინველები, რომ არ იცი, რისთვის არიან გამოხადებნი! მაგალითათ შოშიები .. გიჟებსავით მოვარდებიან, ვინ იცის საიდან. დარჩებიან საფხულს და მერე ისევ გაფრინდებიან. მერცხლებიც, წყალწებლა ჩიტებიც, ვინ ჩამოსვლის უველას? არავინ არ არის გონიერი, წესიერი ფრინველი. როგორც კი ცოტა აცივდება, მაშინათვე აიბარკებიან და მშვიდობით.

იადონს და ვვავს ერთმანეთისა ბევრი არა ესმოდათ რა, იადონს ვერ წარმოედგინა თავისუფალი ცხოვრობა, ვვავს კი არ გაეკებოდა, როგორ შეიძლებოდა გალიაში ცხოვრება.

— ნუ თუ, დეიდავ, შენთვის არავის არ მოუცია ძარცვლები? ეკითხებოდა იადონი, — არც ერთი ძარცვალი?

— რა სულელი ხარ, რა ძარცვალი! ჯოხი არავინ მოგასვედროს, ან ქვა. ადამიანი — ბოროტია.

იადონი ამასი არ ეთანხმებოდა. ადამიანი მას აქამდის აჭმევდა, კვებავდა, ვვავმა რა იცოდა ეს ამბავი? მაგრამ ბოლოს დარწმუნდა, რომ ვვავი ძართალი იყო.

ერთხელ ვვავი ღობესე რო იჯდა, ვიღამაც ქვა ესროლა. თურმე გსახე ბიჭები მიდიოდენ, დაენახათ ვვავი და აბა, როგორ არ ესროდენ ქვას?

— ხომ ნახე? ეკითხებოდა ვვავი, — აი ვვალანი ასეთები არიან.


— ეკებ შენ გააჯავრე ემაწვილები?

— არასოდეს, არაფრით, ტყუილათ მდევნიან. მე ვვალას ვეზისღები.

იადონს შეეცოდა ვვავი. მნელია ასეთი სიცოცხლე, როდესაც არავის არ უეჯარხარ.

(დასასრული შემდეგ)

ა. ფ—სი.





## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ანეტა კაპანაძისაგან)

კაკუკუმა ნაჭახჩახევა  
გასჭრა მზენი და მთვარენი,  
იმისმა მამიდაშვილმა  
ზედ მოაკერა ფარენი.

—

დედა მყავდა ადიბრუნდი  
მამა ოქროთ შექედილი,  
შვილი ისეთი გამოდგა  
ყოველ კაცის მომრეველი,  
ყოველ კოდვის დამთურგველი.

(წარმოდგენილი გ. შარაშიასაგან)

სახლზე მალალი, კვერცხზე უბატარაესი, ძიმწარის უძიმ-  
წარესი, საქმელათ უგემრიელესი.

## ა ნ ა გ რ ა მ ა.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

გვამხიარულებს პირველი,  
რაც გინდა ძაან ბნელოდეს,  
მას შევეტრფიალებთ სულითა,  
ციოდეს, გინდა ცხელოდეს.  
მეორე—ავათმყოფობა,  
ვერავენ მოინელოდეს...  
რომელსაცა სურს გაიგოს,  
ოთხი ასოსგან ელოდეს!

### ნ ა კ ვ ე ს ი.

(ჩაწერილი სოფ. პატარძელში გ. ლეონიძისაგან).

სიდედრს სიძე ეწვია. რასაკვირველია სიდედრს ძალიან გაეხარდა და მშვენიერი სადილი გაუმართა. ეზოში გასვლის დროს, სიძემ ჯიბიდან ქისა დაკარგა, სიდედრმა იპოვნა და ჯიბეში ჩაიღო. პატარა ხანს უკან სიძემ გაიგო, რომ მას დაკარგოდა ქისა, სიდედრს შესჩივლა და თან დაუმატა:

„ვაი, ჩემო ქისაო,  
 ფერად ნარინჯისაო.  
 შიგ ნადებო სიმდიდრე,  
 ფასო ხმელეთისაო“.

სიდედრმა ამოიღო ჯიბიდან ქისა, დაანახვა და უთხრა:

„სიძევ, შენი ქისა  
 ბუშტი არის თხისა,  
 შიგ ნადები საქონელი,  
 კვნიწი მარილისა“.

სიძეს შერცხვა, გაწითლდა და მას აქეთ აღარ უტრა-  
 ბახნია.

### შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი თ. ბოლქვაძისაგან).

პირველი—ჩემი მარცვალი  
 წყალია შიუდგომელი;  
 მეორე—ღამის ფრინველი,  
 დღისით ჯურღმულში მძრომელი;  
 მესამე—სიტყვის დასტური,  
 მთელი—კაცი ვარ მშრომელი,  
 ძალ-ღონით სავსე, მამაცი  
 და ბედაურზე მჯდომელი;  
 უკანასკნელი მარცვლებით—  
 ბრძოლის ველზე ვარ მდგომელი,  
 აბა მითხარით—ცალ-ცალკე  
 და ერთად—ვინ ვარ? რომელი?



გამოცანებისა: ქორი, ღვინო.

ანაგრამა: კირი—რიკი.

შარადა: რუსი.



# გოდება ტეისა.



არმა დაჰქროლა სასტიკმა  
მომტაცა შვება გულისა,  
მომტაცა ჩემი ნუგეში,  
კავშირი სიყვარულისა.

წაიღო გულის იმედი,  
ლხენა აღმზრდელის მკერ-  
დისა,

ფოთლები, ჩემი ფოთლები,  
შვილები ტანჯულ დედისა!..

სადა ხარ, ჩემო იმელო,  
სადა ხარ, გენაცვალეები,  
გული დასერა სევდამა,  
ცრემლით აივსო თვალეები!

სად გაგიტაცეს, შვილებო,  
რომელ მხარეში, რა ადგილს,  
დაგახრჩოთ ბედის წერამა,  
თუ მარად ითმენთ გასაჭირს!

ვიგონებ: თქვენი შრიალი  
ნიავეს ბანს ეუბნებოდა,  
ჩიტები დაგუკუკუებდენ  
გული სიამით სტებებოდა!

დღეს კი სიმწარით გავცქერი  
მინდორ-ველს კაეშნიანსა,  
არც ლხენა, აღარც კიკიკი...  
დღესაც ვერ ვხედავ მზიანსა!..

გელა.

# ი კ ე მ ი.

(სურათი)

## I.



ა უნდათ, ნეტავ რა უნდათ,  
 რისთვის მდევნიან ლეთიანნი?  
 ვის რას უშავებ მთიელი,  
 ლალი, მშვიდ-ბუნებიანი?..  
 მეცა მწყურიათ სიცოცხლე,  
 მეც მიყვარს დღეი მზიანი,—  
 მაშ, ნურც მე მომკლავთ—ძმობასა,  
 არ ამიტუროთ იანი..

## II.

ბუმბერაზ მთის მწვერვალზე, სადაც კაცთა ნათესავის  
 ფეხი და ხელი არასოდეს არ მიჰკარებია, მედიდურათ გად-  
 მომდგარიყო ირემი და ბუნების უხვი სიმშვენიერითა სტკბე-  
 ბოდა.

კობტა და მრავალ შტოიანი რქები მოხდენილათ გაეწყო  
 ზურგზე, ლერწამივით წვრილი ფეხები ჯვარდინათ განზე  
 გაედგა და ცის ფერ თვალთა ამაყურ გამომეტყველებით გაჰ-  
 ყურებდა ნისლით გარემოცულ არე-მარეს.

ცა-დედამიწის სიღიადესთან ერთად, თითქოს ეგრძნო  
 მასაც თვისი სიღიადე, ამპარტავნულათ მოედერნა გრძელი,  
 ლამაზი კისერი და მედიდურების თავდავიწყებით მისცემოდა  
 ჯაღოსნურ ნეტარებას.

## III.

აღმოსავლეთი თვალწარმტაცათ იღიმებოდა.  
 ამომავალი მზე ოქროს ჯილას ადგამდა უწყინარ ბუნე-  
 ბის შვილს,—ირემს.

ბარათ გაშლილი ნისლი, ის იყო დაიძრა და ქარავანი-  
 ვით ნელ-ნელა გაემართა მთის მალღობებისაკენ.

ყველაფერი სიცოცხლის გრძნებითა ჰფეთქდა.  
 მეტის-მეტ სიხარულისაგან კლდეც კი იცრემლებოდა.  
 ფოთლების შრიალთა წახალისებული ჭინკები ველური

კისკისითა და მოქნილი რხევა-ცეკვით თავბრუ დამხვევ დავ-  
ლურს უვლიდენ.

მათი შემყურე ყვავილები სიცილით იხოცებოდენ.

უსტვენდენ და ჭიკჭიკებდენ ფროთოსნები.

ისმოდა დაუსრულებელი ჰიმნი ცა-ქვეყნის მიმართ.

IV.

ღიადი იყო ამ სურათის სანახაობა:

შეუღარებელ ზურმუხტოვან ტურფა წალკოტზე, ქანდა-  
კებასავით ერთ ადგილას უძრავათა დგას ყელ-მოღერებული  
ხარი-ირემი და მეფური ამპარტავნობით გადაჰყურებს დაბ-  
ლობ მიდამოს.

— ტრახ—ტრახ!..

საიდანღაც მოულოდნელათ იხუვლა მონადირის თოფმა.  
ირემი შეფრთხა.

ელვის სისწრაფით დაეშვა შავი ტყისაკენ და მიიმალა.

ვინ იცის, ბუნების რომელ მშვენიერ ქმნილებას წარსტა-  
ცეს საიდუმლოებით აღსავსე მკვირცხლი სიცოცხლე!

ვინ იცის, რომელი დედა აატირეს, ვის გაუგმირეს უმან-  
კოთ მფეთქავი გული!

ვინ იცის!..

გ. ქუჩიშვილი.



# დროებით ვაზდებულ კლეხების კანთავისუფლება.



ჩემო მეგობარო ისო! შენს ცნობის მოყვარეობას საზღვარი არა აქვს. სულ ცისმარე დღე კითხვაში ხარ: ეს რაა, ის რა არისო? გინდა ყოველი საგნის დასაწყისი და სიავ-კარგე გაიგო. შენ ხშირათ

შეჭკითხებიხარ შენს თავს და უფრო ხშირათ შენს დედ-მამას, თუ რათ არის თქვენი სახლი ასე პატარა, უშნო და უღაზათო. თქვენი სახლის ეზო ისე პატარაა, ერთი ბოხჩის ოდენაა; ერთი გულიანათ ვერ გაჰქცეულხარ ისე, რომ სხვის ეზოს ლობეს არ წააწყდე. თქვენი მეზობლის სახლი კი დიდია, გარედან შეხედულობა კარგი და ლაზათიანი აქვს. ეზოც განიერი და გრძელი აქვს. იქ ცხენებსაც შეუძლიანთ

ჯირითი და კუნტრუში. მაგრამ შენთვის უფრო გამოუცნობი გამხდარა, სხვათა შორის, თქვენი მიწის ამბავი. იმ ერთათ ერთი მიწის ამბავი, რომელიც მამა შენს აქვს. შენ კარგათ იცი, რომ ამ მიწას მამაშენი ხნავს და სთესავს რომელიმე ყანას. მოჭმკის და მოიტანს სახლში. შინდის სიმსხო ხორბლის გროვას დააყენებს ხოლმე კალოზე. ამ დროს მოვა მეზობელი თავადი კიკოს მოურავი, მოიტანს საცალოებს, თავანკარს ხორბალს აიწყავს კარგა ბლომათ და წააღებინებს. შეგიმჩნევია თუ როგორ დაუღონებია ამას მამაშენი, ისიც კი შეგიმჩნევია, რომ მამაშენს, ი ვაჟკაცს თვალეზე ცრემლი მოსდგომია. შენც გაგკვირვებია და გულუბრყვილოთ დაჰკითხებიხარ მამას: ნუ მისცემდი მამა, თუ ასე გეწყინებოდა? — შვილო, ეს ღალა, დროებით ვალია მიწისა. — უთქვამს

აკანკალებული ხმით მამაშენს. მიწას მამაშენი ამუშავებს. შიგ ოფლსა ღვრის, წვალობს და მზა მზარეულათ, უჯაფაოდ მოურავს მიაქვს—რათ ხდება ეს? რათა?—რაკი არ გშორდება თავიდან ეს ფიქრები, და ასე გულით გსურს სიმართლის გაგება, მაშ დავიწყოთ ცოტა შორიდან და გავიგოთ სიმართლე რაშია.



პირველათ კარგათ უნდა დაიხსომა შემდეგი რიცხვები: 19 თებერვალი 1864 წ. და 20 ქრისტეშობისთვე 1912 წ. როცა დრო გქონდეს გამოიანგარიშე, შენ ეს კარგათ შეგიძლიან, თუ რამდენი ხანია გასული ამ წელთ აღრიცხვის შორის. თავის დროზე გამოვადგება.

ახლა კი ჯერ გავიგოთ, რა იყო გლეხი, რა იყო მისი ცხოვრება 1864 წლამდის?..

1864 წლამდის ყველა გლეხი და მაშასადამე პაპაშენიც (ბაბუა), რომელიმე თავად-აზნაურთა კუთვნილება იყო და მას ემორჩილებოდა. რასაც ისინი მოისურვებდნენ, გლეხს უნდა გაეკეთებინა. თავად-აზნაურის ბრძანება უნაკლოთ უნდა შეესრულებინა გლეხს. თუ უნდოდა თავადს, გლეხს გაპროზგავდა, გამურში დაამწყვდევდა და ისიც კი შეეძლო, რომ გლეხი გაეყიდნა. კარგათ გახსოვს ის დღე, როცა პირველად ენკენისთვეში სწავლა დაიწყე, ამ დღეს მასწავლებელმა პეტრემ გითხრა:—აბა, მეგობრებო, ხვალისთვის ყველამ წიგნი „ღელა-ენა“ უნდა იქონიოთო. იმ დღესვე, ვისაც კი ფულები ჰქონდა, ექვს ექვსი შაური მიუტანეთ მეწვრიმალეს, რომელიც წიგნებსაცა ჰყიდდა. მედუქნემ ექვსი შაური აიღო და სამაგიეროთ წიგნი მოგცა. ერთის სიტყვით, წიგნი შენ იყიდევი, წიგნი იმ დღიდან შენია, შენი საკუთრებაა. ყველა გლეხი და მაშასადამე პაპაშენიც ამ მდგომარეობაში იყო. თავადი გლეხს ისე გაჰყიდდა, როგორც მეწვრიმალემ გაჰყიდა წიგნი. ხან კი ისე ყიდულობდა თავადი გლეხს, როგორც ჩვენ წიგნი ვიყიდეთ. როგორც მეწვრიმალეს არავინ დაუშლის წიგნი გაყიდოს, იმიტომ რომ მოიგოს რამე. ასევე თავადს არავინ შეუშლის ხელს, რომ გლეხი გაეყიდნა, როცა მას მოესურვებოდა, ენებებოდა.

მაგრამ აბა ერთი ესა ვთქვათ: წიგნი შენია, შენ გეკუთვნის,

რაც გინდა იმას უზამ. ვთქვათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს აიღე და შენი წიგნი დაჰჩხაპნე, ან დაჰხიე. გგონია მოგიწონებენ? შენ ეს გამოცდილებითაც იცი, რომ ამაზე თვალებს არაფერს დაგიკოცნის. ჯერ სასწავლებელში მასწავლებელი გაგიწყობა და შეიძლება დაგსაჯოს კიდევაც. როცა სახლში მიხვალ იქ დედამამა გაგიჯავრდებიან. თანაც დაგარიგებენ, რომ სხვა დროს აღარ დაჰხიო და არ დაჩხაპნო წიგნი. ასე რომ წიგნს, თუ შენ არ გაუფრთხილდი, მოსარჩლეები და მცველები ჰყვანან. თავადს კი რაც უნდა ექნა გლეხისთვის ან პაპაშენისთვის არაფერს არას ეტყოდა და გლეხსაც მოსარჩლეთ არაფერს არ გამოუჩინებოდა. ბიჭობა ის იყო ვინ უფრო უკეთეს სასჯელს გამოიგონებდა გლეხებისთვის. წიგნს უფრო მეტი პატივი აქვს, ვიდრე მაშინ პაპაშენს ჰქონდა.

ჩვენ წიგნს ჩაფიჩინებთ, ვსწავლობთ. რაც რამე წიგნში სწერია გონებაში გადაგვაქვს. ყველა გლეხი და აგრეთვე პაპაშენი მიწას ჩაჰჩიჩინებდა, შრომას არ ზოგავდა, ოფლს ღვრიდა და მიწის მონაგარი, შემოსავალი თავადს ეკუთვნოდა. ამ შემოსავალს თავადი იხმარდა ისე, როგორც მას სურდა და გლეხს კი, რომელმაც მოიპოვა, მარტო ნამცეცებს თუ არგუნებდა. შენ რასაც წიგნიდან ისწავლი შენია, შენ იყენებ, როგორც გინდა. პაპა კი, რასაც მიწიდან მოიმუშავებს თავისი ოფლით და ამაგით, თავადს აძლევს. ამნაირი ცხოვრება მოჰბეზრდათ გლეხებს, რაც ხანი გადიოდა უფრო და უფრო მწვევდებოდა ერთმანეთში დამოკიდებულება. როგორც მაშინ იტყოდა ხოლომე, საქმე იქამდის მივიდა, რომ როგორც სხვა გლეხებმა, ისევე პაპაშენმა თავადს შეევაჭრენ მიწას. ბევრს ევაჭრენ მიწას, მაგრამ ძალა თავადის ხელში იყო (რატომ ჰქონდა თავადს ეს ძალა—ამაზე სხვა დროს ვილაპარაკებთ) და ამიტომაც ყველას კრინტი ჩააწყვეტინა. მაგრამ უკმაყოფილება და სიმძულვანე ამნაირი მდგომარეობისადმი, როგორც სხვა გლეხებისა ისეც პაპაშენის, არა თავდებოდა. მოსწყინდათ უღმერთო ცხოვრება, ოფლით მოპოვებული ქონების სხვისგან მითვისება, მობეზრდათ ისიც, რომ მათი პატივი, სინიდისი და პიროვნება ასე უწყალოთ ითვლებოდა სხვისგან. საერთო ტკივილებზე, მწუხარებაზე საერთო ჩივილს და დუღუნს დიდი მნიშვნელობა აქვს. ყველა გლეხები

ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით გაიმსქვალნენ და ამ საერთო სურვილს პასუხი გასცეს. ადგენ და თავადს ჩამოართვეს გლეხზე უფლება. გლეხი გაუთანაბრეს თავადს ნება-სურვილებით. ეს მოხდა 1864 წ., 19 თებერვალს, მაგრამ ვერ წარმოიდგენ რა სიხარული იყო გლეხებს შორის. აბა როგორ არ უნდა გახარებოდათ, რომ ამ დღიდან გლეხს ვერავინ გაჰყიდოდა ისე, როგორც მეწვრიმაღე წიგნს? ამას იქით ყველა გლეხებს და პაპაშენსაც კანონი გაუჩნდა. კანონი კი საერთო ხმაა, საერთო ძალაა. ამას იქით ყველა გლეხებს კანონი ჰყავთ მოსარჩლე, ისე, როგორც შენს წიგნს ესარჩლებიან მასწავლებელი და დედაშენი. თუ შენ წიგნის დაფხაქვნა-დახვევისთვის დაისჯები, აგრეთვე ის ვინც გლეხს ან აწყენინებს, ან რამე ავს და ბოროტებას უზამს, იმას კანონი სასჯელს მიესცემს. მერე თურმე რა სიხარულში იყო პაპაშენი სხვა გლეხებთან ერთათ. პაპაშენი სიხარულით ზეცას ეწვოდა. თანაც ერთი კარგი ღვინი გამართა და გულიანათაც მოიღვინა. სულ ფეხის წვერებზედ თამაშობდა. ამ დღიდან ჩვეულებათ შემოიღო, ყოველ წლივ, 19 თებერვალს მოეღვინა ხოლმე.

როგორც ყველა გლეხი, აგრეთვე პაპაშენი დიდ დროს ანდომებს მუშაობას. ეს არც თუ გასაკვირველია, რადგან ყველა სულდგმულს საზრდოობა უნდა და საზრდოს მოპოება კი მუყაითი შრომით შეიძლება. ყველა გლეხმა და პაპაშენმაც ამ დალოცვილ დღიდან უფრო გულ-მოდგინეთ დაიწყეს მუშაობა. ჯერ ერთი იმედი ჰქონდათ სახლ-კარს კარგა მოაწყობდნენ და თანაც მათ ნაშრომს ეხლა ვერავინ ვერ წაართმევდათ, როგორც ეს წინათ იყო ხოლმე. მაგრამ საწყალ კაცს თურმე ქვა აღმართშიაც დასწევია და აქაც ამათ სურვილს ასე დაემართა. წინ ერთი უბედურება დაუხვდათ. ეს უბედურება 19 თებერვალს თან დაჰყვა, მაგრამ მეტის-მეტ სიხარულით ვერ შეამჩნიეს. უბედურება კი იმაში იყო, რომ იმდენი მიწის დამუშავების ნება აღარა ჰქონდათ, როგორც აქამდის. მთელი მიწები თავდაზნაურების საკუთრებათ გამოაცხადეს და მათ მიუზომეს. გლეხობას კი მიუზომეს ხელის გულის ტოლა ეზო, პატარა სახლით. თავადებმაც დამიჯნეს ყველა მიწები და უსისხლოთ არავის არ ანებებდნენ. მთელ გლეხობას და პაპაშენსაც მაშას-

დამე მისცეს თითო პატარა სახლი ხელის გულისტოლა ეზოთი. ეს თავის შესაფარებლათ, მაგრამ წინათაც ხომ ამით ეკუთვნოდა სახლ-კარი, მაგრამ მაინც დაამუნათეს, ეს შენ გერგო. აზრათ ის კი აღარავის მოუფიდა, თუ რით უნდა ესაზრდოვანთ. უმიწოთ გლახს, საიდან რა უნდა ეშოვნა?.. გლახს შეეძლო მხოლოდ თავისი შრომით მიწა დაემუშავებინა და იქიდან საზრდო ამოეღო. რაკი მიწა აღარა ჰქონდა გლახს ცხოვრება უფრო გაუჭირდა. უმიწოთ გლახებს ამოწყვეტა მოელოდნათ. ასე გამოდიოდა, რომ თუ ზოგს პური შეუძლიათ კუჭის გაძლომა, გლახებს ჰაერიც ეყოფათო გასაძლომით! რადგან გლახები აღარ ცხრებოდნენ და დაჟინებით მიწას თხოულობდნენ, მაშინ შეიბრალეს გლახები და სახლ-კარ მიდამოს გარდა ყველასთვის პატარ-პატარა მიწები მიუზომეს. თქვენთვის კი, ჩემო ისო, ის მიწა მოუციათ, რომელიც სახლის გვერდზე გაქვთ და რომელიც შენ ასე გიყვარს. მაგრამ ამით არა თავდება ამ მიწის ამბავი, მოვისმინოთ კიდე აი რა.

ამასთან ყველას და აგრეთვე პაპაშენსაც ნება მისცეს მიწა გამოეყინდათ, თავის საკუთრებათ გაეხადნათ. მიწის ფასი კი დადებული, გადაჭრილი არ იქნა. როცა გლახი იშოვიდა ფულს, უნდა მისულიყო თავადთან და მიწის ფასში შეთანხმებულიყო. ხოლო სანამ გლახი შესძლებდა მიწის ფასის ერთბაშით გადახდას, მინამ პაპაშენსაც და სხვებსაც რომელიმე თავადისთვის მიწის მოსავლის ერთი ნაწილი უნდა ეძლია. ეს სულ ერთი იყო, რაც იქნებოდა დათესილი: ხორბალი, სიმინდი თუ სხვა რამე. ეს გადასახადი დროებით ვალათ დაადევს გლახს. აქ მიწის სიმცირემ უკმაყოფილება გამოიწვია. ყველას აბრაზებდა ეს უსამართლობა. მათ უკმაყოფილებას არავინ ყურადღება არ მიაქცია. ამან აშკარათ გამოაჩინა კანონის სისუსტე. კანონმა გლახის ბედი კარგათ, პატიოსნურათ ვერ დაიცვა. თავგანწირვით, როგორც შეეფერებოდა, დაზარალებული გლახის მოსარჩლეთ ვერ გამოვიდა. აბა აქ მოიგონე შენი თავი, შენ გამოცდილებით იცი, რამდენჯერ დაგსაჯა დედამ, იმიტომ უფრო, რომ წიგნი აღარ დაგეფხაქნა, აღარ დაგვხია. შენ მაინც არ მოიშალე. ვერც უსადილობამ, ვერც კუთხეში დაყენებამ, წარმოიდგინე არც დამუქრებამ, რომ ხილს აღარ გაქმევდა, ვერ მოგაშლევინეს წიგნის გაფუ-



ქება. თავადიც ასეთივე ცულლუტი, ცელქი და შეუპოვარი გამოდგა. იგი არ დამორჩილდა კანონს. მან თვითნებობა გამოიჩინა. გლეხის საჭიროება, გასაჭირი არაფერში ჩააგდო. ყველაფერი თავის საკუთარ სარგებლობას ანაცვალა. როგორც პაპაშენი აგრეთვე სხვა გლეხები, რაკი ვერას გახდენ, დაემორჩილენ თავიანთ ბედს, ხმა ჩაიკმინდეს. შეეხებნენ ძნელ სატანჯველ უღელში და ყოველ წელიწადს მოსავლის ნაწილს უთქმელათ აძლევდენ თავადს. პაპაშენი ჯაფამ და უსამართლობამ წელში გასტეხა. ველარ აიტანა ვაი-ვაგლახი ცხოვრებისგან გამწარებულია და ოხვრაში და ვიშში სული დალია. დროებით ვალი ვერ გადახადა, ვერ მოიშორა თავის სიცოცხლეში. მამაშენს, რომელიც ჯერ ისევ 17—18 წლის ბიჭი იყო, მოეხვია თავზე მოვალეობა.

მამაშენიც ჭაბუკობაშივე შეება ძველ და ძნელ უღელში. ქედ მოუხრეჯათ იხდიდა ერთხელ დადებულ, დროებით ვალს. მაგრამ რაც ხანი გადიოდა აუტანელი ხდებოდა ეს გადასახადი. ყველას თვალში ეს დროებითი ვალი ეჩხირებოდა. გაჭირება ბევრ რამეს აფიქრებინებს კაცს. მამაშენსაც ერთი აზრი მოუვიდა. ისევე აზრი ერთ დროს პაპაშენსაც უღვიოდა გულში, მაგრამ ვერ შეისრულა საწადელი. მამაშენი და ყველა სხვა გლეხიც, რომელიც ამის მდგომარეობაში იყვენ, ფიქრობდენ: მთელი ის გადასახადი, რაც პაპაშენს ან თითონ მამაშენს გადაუხდია, ერთათ რომ გამოთვლილიყო, ერთი ბოხჩა მიწის საფასის ვერ გაისტუმრებდა? არამც თუ გაისტუმრებდა, ათ ჯერ გადახდილი და მოშორებულიც იქნებოდა. შენ რომ უფრო უკეთ წარმოიდგინო ეს, ავიღოშ. შენი მაგალითი. შენ წიგნი იყიდე, ხოლო წიგნის საფასი 30 კაპ. ერთბაშათ გადაიხადევი. იმიტომ, რომ ფულები გქონდა. მაგრამ ჩვენ ვთქვით, რომ შენ ექვსი შაური არა გქონდა. წიგნის ყიდვა საჭიროა, უეჭველათ უნდა იყიდო. მეწვრიმალე ნისიათ გაძლევს წიგნს, თანაც აგეთ პირობასა სდებთ: ფასი ერთბაშათ უნდა გადაიხადო, ხოლო მანამ ფასს გადაიხდი, მინამ ყოველ თვე ხუთი კაპეიკი უნდა აძლიო. ვთქვით, წიგნი ერთ წელიწადს მოგინდა, ერთი წლისას მეწვრიმალეს თორმეტ შაურს გადაუხდი. თუმც წიგნის საფასი ოთხჯერაც გექნება გადახდილი. წიგნის სა-

ფასი კი ისევ გადაუხდელი დაგრჩება. მეწვრიმალე რომ დაგ-  
 თანხმდებოდა ვალის ნაწილ-ნაწილ მიღებას, მაშინ ვალი  
 აქამდის გასტუმრებული გექნებოდა და წიგნიც საკუთრებათ გა-  
 ხდებოდა. მაგრამ მეწვრიმალემ ეს პირობა წინდაწინვე უარჰყო.

შენ კარგა წარმოიდგენ ეხლა თუ ვიტყვით, რომ ჯერ  
 პაპაშენი და შემდეგ მამაშენი სწორეთ აგეთ მდგომარეო-  
 ბაში იყვენ თავიანთ დროებით ვალის გადახდაში. მამა-  
 შენმა უთხრა თავადს, მიწის ერთი ფასი დაედოთ, და რო-  
 ცა ამ ნაწილ-ნაწილობით შეავსებდა მიწის ფასს, მაშინ მიწა  
 საკუთრებათ უვალოთ დარჩებოდა მამაშენს. თავადმა არ ინ-  
 დომა. ხელს არ აძლევდა ეს პირობა. დროებით ვალი ვალათ  
 რჩებოდა და ყოველ წელიწადს უზრუნველათ მიწის მოსავ-  
 ლის ნაწილს ისაკუთრებდა. წინათ ისე იყო, რაც მოვიდოდა  
 იმის ნაწილი უნდა წაეღო. ბოლოს და ბოლოს ზოგან ამას  
 აღარ დაგიდევდენ მოვიდოდა რამე მოსავალი თუ არა. თავადს  
 თავისი უნდა წაეღო საიდანაც უნდა ყოფილიყო. გლეხს უნდა  
 გაეჭირებინა საქმე, ეშოვნა საცა იყო და ჩაებარებინა. ეს კი  
 აუტანელი ხდებოდა. რაც დრო გადიოდა უფრო საგრძნობი  
 იყო, როგორც მამაშენისთვის, ისევე სხვა მის ბედში მყოფ  
 გლეხებისთვის. კაცი, სულ, დგნულია, ქვა არაა. ვაჭირებამ  
 ალაპარაკა ისინი. თავიანთ აუტანელ მდგომარეობაზე ერთ-  
 მანეთს შეჰჩიოდენ. როგორც რომ გამხმარ ფიჩხს ერთი  
 ნაპერწკალი ააპრიადლებს, ისევე გლეხების გული აალიზ-  
 ლიზა ერთმა საერთო სატკივარმა, ერთმა ტანჯვა-ვაებათ.  
 ერთი მეორეს ამხნევებდენ. ისინი ერთ ფერხულში ჩაებნენ  
 და საერთო საქმის ერთათ გატანა მოიწადინეს. საერთო სურ-  
 ვილს ყურს ათხოვებენ, უსმენენ. აქაც მათ სურვილის შესა-  
 ხებ სამართლიანი სიტყვა კანონმა თქვა. ისევ კანონმა იკისრა  
 გლეხის ბედის მოწესრიგება. ადვა და დროებით ვალდებული  
 გლეხების და თქვენიც რასაკვირველია მიწა გლეხების საკუთ-  
 რებათ გამოაცხადა. ეს დღე იყო 20 ქრისტეშობის თვეს 1912  
 წ. ამ დღიდან არც სხვა დროებით ვალდებული გლეხები  
 არაფერს მისცემთ თავადს. მას არა აქვს უფლება თქვენ მი-  
 წაზე. მას კანონი მისცემს მიწის საღირებლ ფასს და თქვენ კი  
 კანონთან გექნებათ საქმე. კანონით კი წინდაწინვე იცით რა  
 ვალი გაქვთ. ნაწილ-ნაწილ გადახდილი ფულები ჩაითვლება

ვალის დასათარავათ. ამ დღიდან ბოლო ეღება დაუბოლოვე-  
ბელ დროებით გადასახადს.

აქ ეხლა გამოჩნდება, თუ როგორ გულის ყურს და სიფრთხი-  
ლეს გამოიჩინეს, როგორც მამაშენი ისე შენ. ამასთან არ დაი-  
ვიწყო, იქნება მამაშენმა ვერ მოასწროს ვალის სრულიათ გა-  
დახდა, მაშინ შენ მოგიხდება მოვალეობის მოხდა. ვერ გავიგე,  
თუ როგორ შეხვდენ გლეხები ან მამაშენი ამ საარაკო დღეს?  
ან იქნება რითამე აღნიშნეს? ან მამაშენმაც ისევე იღღესას-  
წაულა ეს 20 ქრისტეშობისთვე, როგორც განსვენებულმა  
პაპაშენმა 19 თებერვალი? კარგს იზამ, ჩემო ისო, და აგრე-  
თვე შენი ამხანაგ ნაცნობები, ვინც ამ სტრიქონებს წაიკით-  
ხვენ, რომ ნუ დაიზარებთ და მაცნობეთ რა აზრისანი არიან,  
ან როგორ შეხვდენ გლეხები, ან რა კმაყოფილება გამოიწ-  
ვია მათში—ამ დიდებულ და კეთილმა საქმემ.

შენი გოგი.



# მოხუცი მეთევზე.



(დასასრული)

ა ვქნა, რა მოგიხერხო? ბუტბუტებს მოხუცი.

იგი წამოსვამს უცნობს დედამიწაზე, უნდა გრძნობაზე მოიყვანოს. მაგრამ უბედურს უსიცოცხლოთ სწყდება კინწი.

— იქნებ მივათრიო როგორმე ნაპირამდე? ეკითხება თავის თავს ბერი-კაცი.

— შევიძლებ-კი? ღმერთო, მიშველ!

მეთევზემ წამოაყენა უცნობი, წამოიკიდა ზურგზე და თავისი ძვირფასი ტვირთით ხელ-ახლად შესტოპა წყალში. ქარი მიუღრდა, ზღვა ისევ ნაპირისაკენ გაექანა და ახლა წყალმა ორ გოჯამდე მოიმატა. შუა გზაში იმდენათ ღრმა იყო წყალი, რომ მოხუცს ყელამდე სწვდებოდა. მას ტვირთი ძირ-ძირსა სწევდა, მუხლები ეკეცებოდა და ფიქრობდა ან ახლა და ან აქლა წავიქცევო. ფეხის წვერებზე შედგა, თავი მაღლა აიღო და ნელა მიაბიჯებდა, წყალი-კი სულ მაღლა-მაღლა იწევდა, თითქოს უნდოდა მისი შთანთქმვა.

„ვიღუბები!“ გაუელვა თავში მეთევზეს.

— „მშვიდობით, ჩემო ბებერო! მშვიდობით, იასე, თუ კიდევ ცოცხალი ხარ!“

ბერი-კაცი კვლავ ჰგრძნობს, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე წყალი თან და თან კლებულობს, სახლს უახლოვდება და უკუნეთში მას ეჩვენებიან მუქი, მაღალი, თიხის კიდე, რომლის თავზედ მდგარ ქოხიდან მქრთალად მოსჩანს სინათლე. იქ ახლა ამის დედა-კაცს სძინავს და არ იცის, რომ მისმა ბერი-კაცმა კაცი გადაარჩინა და სახლში მოჰყავს. ცოტაც კიდევ და იგი დედა-თიწაზე გაჩნდება. ტვირთის ჩამოაუღებლად მიდის ქვიშნარ გზაზე, ადის ლიპ ბილიკზე მაღლა, მაგრამ მთის შუა წელზე იღლებდა და ჩერდება, რომ ცოტა სული მოითქვას. ქარი სცდილობს მის გადაგდებას.

— ახლა-კი ახლო ვარ... ბუტბუტებს მოხუცი და გუ-

ლი სიხარულით ევსება. ცოტას შეისვენებს და კვლავ შეუდგება აღმართს. აი ქოხიც, რომლის სარკმლიდან სინათლე მოსჩანდა. იგი მიუახლოვდა კარებს, შეაღო და შევიდა.

— მე ვარ, ბებერო, ნუ გეშინია... ეუბნება ის—ზღვიდან დავბრუნდი...

დედა-ბერი კიდევ ჩაწოლილიყო ლოგინში.

— დაიჭირე-კი რამე? ეკითხება იგი ქვეშაგებიდან.

— დავიჭირე, მაშ... უყურე... მიუგო ბერი-კაცმა.—მერე, როგორი თევზია და! ადექი რაღა, ადექი ჩქარა სამოვარი დადგი. მე გრძობა-დაკარგული კაცი ვიპოვე და ზურგით მოვიტანე აქნობამდე. გემი დაღუპვია და ესეც ქვებთან გამოერიყნა წყალს. ვინ იცის, იქნება მოკვდა კიდევ!.. მეც მთლად სველი ვარ... გაგვათბე ჩქარა ორთავე!

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ზეციერო მამაო!.. რა უნდა ვქნა ახლა? მწუხარებით წარმოსთქვა დედა-კაცმა.

ის მარდათ გადმოხტა ტახტიდან, ქვედატანის სამარა მიიჭრა სამოვართან, შიგ კვარი ჩაადგო, საბოლგე მილი დაადგა, შემდეგ ღვიმელს ნახშირი შეაყარა და ქმართან ერთად დაეშვა იატაკზედ უმოძრაოდ მდებარე სხეულთან.

— მომე აქ ე სანათი, უთხრა ბერი-კაცმა.

დედა-ბერმა კედლიდან ჩამოიღო სანათი და მიაწოდა მას. მეთევზემ მიუახლოვა უცნობს სანათი და სახე გაუნათა.

— იასე!! ჩვენი საყვარელი იასე! უეცრად შესძახა დედა-ბერმა და სიხარულით ცრემლები გადმოსცვივდა თვალიდან. იგი მივარდა უგრძნობს, დაუწყო ხვევნა-კოცნა და აღერსი.

— იასე, ჩემო საყვარელო ბიჭიკო! ნუ გეშინია, მოსურიელდები, კვლავ იცოცხლებ. ღმერთი შეისმენს ჩემს ლოცვას და დაგიხსნის ჩასძახოდა მოხუცი დედა-კაცი ყმაწვილს.

ღიახ, ეს ამათი შვილის-შვილი იყო, რომლის ნახვაც ასე ძლიერად სწყუროდათ.

ბერი-კაცი დაფაცურდა, აიყვანა ხელში, ჩააწვინა ლოგინში და თბობა დაუწყო. ქაბუკი თან და თან მოვიდა გონს, თვალები გაახილა, მიათვლიერ-მოათვლიერა იქაურობა და ღრმით ამოიოხრა, კვლავ კიდევ მიიხედ-მოიხედა და მოულოდნელად მხიარულად გაიღიმა, რადგანაც იცნო თავისი ქოხი და ბებრები. ყმაწვილმა სიამოვნებით გაუწოდა ხელები მო-

ხუცებულთ და გადაეხვია საკოცნელათ. სიხარულის ცრემლები დაბაღუპით სცვიოდათ მათ თვალთაგან, მხიარულათ იცინოდნ.

შემდეგ იასე დასუსტდა და გრძნობა დაჰკარგა. დიდი გაჭირვება გამოიარა ქარიშხლის დროს. ბერი-კაცმა ძმარწყალით კარგათ დაზილა ყმაწვილი და მეორე საბანიც დაახურა, ზემოდან თბილი ქურქი მიაფარა და ფეხ-აკრფით მოშორდა.

— დაე ცოტა შეხურდეს, ოფლი მოუვა!.. სთქვა იმან — ვწუხვარ, რომ ჩაის დაღვეინება ვერ მოვასწარი!

გრიგოლი თითონაც სველი იყო და მთლად ძაგძაგებდა, მაგრამ თავის თავი სულ გადაავიწყდა და მხიარულათ ილიმებოდა. იგი გახურებულ ღვიმელის მოშორებით იჯდა და სიყვარულით გასცქეროდა თავის შვილის-შვილს.

დიდდა-კი დაფუსფუსებდა სამოვრის მახლობლად, ხან რას წაავლებდა ხელს ხან რას და სიხარულისაგან არ იცოდა რა ეპასუხნა. მას თავსახური გვერდზე მოქცეოდა, არც ისწორებდა, სრულებით არ ესმოდა რას სჩადიოდა, ხშირად პირ-ჯვარს იწერდა და იძახდა:

— ოხ, მეუფეო!.. ოხ, ღმერთო ჩემო! რა მომივიდა, თითქოს ბინდი მეკვრის თვლებზე, ვედარას ვხედავ?!

მოხუცებულნი მთელ ღამეს შვილის-შვილს დასტრიალებდნ, თვალი არ მოუხუჭნიათ და არც დაღლილობა უგრძენიათ.

დილით იასემ გამოიღვიძა, მიმოიხედა გარშემო და სიციცხლის ნეტარება იგრძნო. ბერი-კაცი მივიდა მასთან და მოფერებით შუბლზედ ხელი გადუსვა.

— როგორა ხარ, ჩემო ბიჭიკო? ჰკითხა მან. — კარგათა გრძნობ თავსა?

მაგრამ ჭაბუკისათვის საჭიროც არ იყო პასუხის მიცემა, მისი სახის და მხიარულათ გამომეტყველ თვალებითაც უნდა მიმხვდარიყვენ ბებრები, ყმაწვილი რომ კარგათ იყო.

იასე წამოდგა ტახტიდან და უნდოდა ტანთ ჩაეცვა, მაგრამ პაპამ შეაჩერა.

— იწეკი, იწეკი შვილო! უთხრა ბერი-კაცმა.

— ჯერ დრო არ არის შენი ადგომისა! იწეკი მანამდე, ვიდრე ტანისამოსი გაგიშრებოდეს.

მოხუცებულნი მიუსხდნენ შვილის—შვილს, რომელმაც მოკლეთ, ხმა დაბლა, მაგრამ გაბრწყინებულის თვალებით უამბო, თუ როგორ დასცურავდა შორიულს ზღვებზე, ებრძოდა მღელვარე ოკეანეს, ხედავდა გასაოცარ ქვეყნებს, ხალხს და ნადირთ, როგორ სიხარულს და შიშს განიცდიდა ხოლმე გზაში. შემდეგ უამბო, თუ როგორ მოსწყინდა უამათოდ და უეცრად მოუნდა მათთან სამშობლოში წამოსვლა. აი ჩაჯდა გემში და გამოეშურა რუსეთისაკენ. სამწუხაროთ გემი არ შეჩერებულა მახლობელ ნავთსადგურში. სამხედრო ნავში მოუხბდა ჩაჯდომა და მარტო გამოეშურა სამშობლო ნხარესაკენ, თუმცა გაავდრებას ეპირებოდა. შემდეგ... შემდეგ მას აღარ ახსოვს აღარაფერი, ახსოვს მხოლოდ, როგორ დაეჯახა ქვებს მისი ნავი და როგორ ამხნევებდა მას ფარნის ქნევით ნაპირზე მდგარი ვრცა. როდესაც გაახილა თვალები, მან დაინახა თავისი თავი ქვების გროვზე კი არა, თბილს ლოგინში და იმათთან ერთად, ვინც მისთვის უძვირფასესნი იყვენ.

— იქნება კიდევ მიწყრებით... არ გაგეხარდათ, რომ კვლავ დავბრუნდი? შეშინებით შენიშნა ჭაბუკმა და მთლად გაწითლებულმა თვალები ძირს დაუშვა.

— გიწყრებით! არ გაგეხარდა შენი დაბრუნება! რას ამბობ, ბიჭო? ჩვენი საგონებელი მუდამ ჟამს შენ იყავი, დარდით ღამეებს თეთრად ვათენებდით და განა შესაძლოა, რომ არ გეხაროდეს შენი დაბრუნება?!

— რომ მქონდეს რამე სიამოვნებით ვიდღესასწაულებდი შენს დაბრუნებას, უთხრა მერე პაპამ,—მაგრამ არა გამაჩნია რა.—სამწუხაროდ, როგორი ღარიბიც ვიყავი შენს წასვლამდე, ისეთივე ვარ დღესაც.

ჭაბუკმა ცბიერებით გაიღიმა და თვალები ძირს დახარა.

— პაპა-ჩემო, მოუფათურე ხელი ჩემ ტანსაცმელს! იქ სარჩულის ქვეშ შენთვის რაღაცა მაქვს ჩაკერებული!

დიდედამ ლურსნნიდან ტანსაცმელი ჩამოიღო და ბერიკაცს ვადასცა, რომელმაც მალე გაარღვია სარჩული და მაგრათ გაკერილი ტყავის პარკუჭა ამოაძვრინა.


— გასქერი! უთხრა იასემ.—მგონია, არ დასველებულა! პაპამ გასჭრა პარკი და ფულები ამოიღო. ყმაწვილმა ფული გამოართვა და სწრაფის მოძრაობით მოხუცს კისერზე მოეხვია, მაგრად მიიკრა გულზე და ფული დოშლოულში ჩაუღო.

— შენი იყვეს, პაპა-ჩემო... უთხრა იმან:—ჩემის შრომით შევიძინე! შრომა და ზრუნვა საჭირო აღარაა ახლა შენთვის!

ბერი-კაცმა მოჰხვია ხელები მას თავზე და გრძნობით აკოცა. მოხუცს თვალებიდან ორი ცრემლი გადმოუგორდა და იასეს თმებზე დაეცა.

რას ნიშნავდა მისთვის ეს ფულები, როდესაც მას შვილი-შვილი დაუბრუნდა?

ნინო ენუქიძე.





# მტკვრის სათავი, ჭოროხი და თაგარ მეფე

მეზავრის დღიურიდან.



ხერთვისიდან მტკვარი ერთი ორად ქცეული, ჯერ ჩრდილოეთისკენ და მერე ჩრდილო სამხრეთისკენ მიიმართება. ჩაუვლის ქართველთა სოფლებს, მარცხნივ ტოფაშს, მარჯვნივ ორმოცს, საროს, ხაზაბაფრას და ამის ბალ-ვენახების ქვემოლ უერთდება მტკვარს მარჯვნიდან, პატარა მდინარე ჩიხორაში.

ეს მთის შვილი ჩიხორიში კობარეთის მთიდან ჩამოწკრიანობს, გულს უგრძობს სოფ. დამაჯას\*) და მხიარული უერთდება მტკვარს. ჩიხორიში შეადგენს ბუნებრივ საზღვარს მესხეთის და ჯავახეთის შუა\*\*).

აქედან მტკვარი ჩაუვლის მარჯვნივ ასპინძს და მის გამოჩენილ ველს, სადაც მეფე ირაკლიმ მთელი ევროპის სამაგალითოდ გაიმარჯვა ლეკთ-ოსმალოს შეერთებულ აუარებელ ჯარზე. აქედან მტკვარი მარჯვნივ იდუმაჯას და მარცხნივ ახალშენს რო გასცდება, მარჯვნივ ჩაუვლის დაბა რუსთავს, სადაც დაიბადა ქართველთა ერის საქვეყნოთ მასახელებელი,

\*) ასპინძის ბრძოლის დროს დამალას ციხეში იდგა ბატონიშვილი გიორგი, მაგრამ შევლას კი არ აპირებდა. გიორგი ელოდა მეფისა და ქართველების დაღუპვას, რომ საჩქაროდ გადაეფლო თრიალეთი და თავისი თავი მეფეთ გამოეცხადებინა თბილისში.

\*\*\*) ხოლო დღეს ახალციხის და ახალქალაქის მახრებს შუა ჩიხორის წყალი იქამდე გემრიელია, რომ ოდესღაც ტამბოლს მიჰქონდა ხოლმე ეს წყალი. ამის შესახებ ხალხში დარჩენილა მშვენიერი ლეგენდა — თქმულება, რომელიც მე ლექსათ მაქვს ჩაწერილი. ლეგენდა ასე იწყება: ვიშ! რა კარგი ხარ ჩიხორიშო, ხველიშა (მდინარეა) არ გერიხა.

საღმერთებელი მგოსანი შოთა \*). დღეს ამ დიდებულ ადგილას შვიდიოდე კომლი ქურთი და ასახლია.

— რუსთაველმა შექმნა მსოფლიო დიდება არამთუ ქართულ ლიტერატურისა არამედ თვით ქართველებისაც. ეჰ! სადა ხარ ქართველო მილიარდერო, კაცმა შეისყიდოს ეგ ადგილი და შოთას სახსოვრათ უმაღლესი სამეურნეო სკოლა და აკადემია დაარსოს! — ნაღვლიანათ წარმოსთქვა კახელმა თავადმა.

რუსთაველის სამშობლო სოფლიდან მტკვარი მარცხნივ ჩაუვლის ჯერ მუხსნს და მერე გამოჩენილ საფარის მონასტერს, სადაც თორმეტი საყდარია აშენებული. მდებარეობს ახალციხის სამხრეთით ექვსი ვერსის მანძილზე, აქ იმარჩებოდენ ახალციხის ათაბაგები.

ღიუბუა დე მონტპერე აზრით, „საფარის უმათერეს (წმ. საბას) ტაძარზედ უდიდებულესი ძნელად თუ კიდევ იქნება, ჩუქურთმებითაც გელათის მონასტერზედაც მდიდარიაო“. (მ. ჯანაშვილი).

— ვინ იყო ეგ დალოცვილი შვილი ღიუბუა? შემეკითხა ჯავახელი.

ღიუბუა დე მონტპერე (1798—1850) საფრანგეთის შვილი, დაიბადა ქალაქ ნეშატელში და აქვე იყო აკადემიის პროფესორათ. სახელი გაითქვა, როგორც გამოჩენილმა მოგზაურმა, ნატურალისტმა და არხეოლოგმა. საქართველოში მოგზაურობდა 1839—1845 წლებში. ღირს შესანიშნავი ყოველივე მეცნიერულათ აღწერა და ცალკე წიგნათ გამოსცა. გასაკვირველს იყო, რო არსად დედამიწის ზურგზე, შედარებით, ამდენს ციხე-მონასტრებს, თანაც დიდებულათ ნაშენს ვერ შეხვდებითო.

საფარის ქვემოდ, სოფელ მანაძეებს რო მიატანს, მტკვარი უეცრივ იცვლის მიმართულებას. აქ ახალციხის ქვემოდ მას უერთდება ფაფცხავის მდინარე და აღიდებული ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ იბრუნებს პირს, ჩაუვლის მარჯვნივ აწყუ-

\*) „წყნარ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დაბისა“.

რის მიღწევა ციხეს და დიდებულ ტაძრის ნანგრევებს, რომლის სასწაულიანი აწყურის ღვთის-მშობლის ხელთ-უქმნედა ხატამ ჟამად გელათის მონასტერში ასვენია.

აწყურის ქვემოთ მტკვარი ზედ შუაზე აპობს აქართიალეთის მთაგრეხილს\*), მესხეთის და ქართლის საზღვარზე მტკვარი ჩაუვლის მარცხნივ სწორედ იმ ადგილს, სადაც მოხდა საქართველოს ისტორიული ტრაგედია, სადაც მოხუცმა გმირთ-გმირმა ირაკლი მეფემ ცალმუხლით დაუჩოქა ღენერალ ტოტლებენს.

— გთხოვთ განმარტოთ ეგ დაუჯერებელი ამბავი! — შემომძახა აღშფოთებულმა თავადმა.

— 1770 წ. იმპერატრიცა ეკატერინე II-მ ომი აუტეხა ოსმალს და ირაკლი მეფეც, ვით თავის მოკავშირე, იძულებულ ჰყო ოსმალსთვის ომი გამოეცხადებინა. მაშველად გამოუგზავნა ღენერალი ტოტლებენი რუსის ჯარით და რამდენიმე ზარბაზნით. სწორედ იმ დროს, როდესაც ომი გაცხარდა, — აწყურის ციხეს ალყა შემოარტყეს და ასპინძისკენ მიემართებოდნენ, სწორედ ამ დროს ტოტლებენმა მოატრიალთ თავის ჯარი და რუსეთის გზას გაუდგა.

ეს ამბავი მეფეს მოხსენდა ასპინძის გადასახელებზე. ირაკლის ელდა ეცა, გამოეკიდა ცხენით ტოტლებენს, დაეწია სოფ. დვირის პირდაპირ, მაგრამ ვერაფრით ვერ დაითანხმა, ვერ დაიყოლია ღენერალი. ამაგდარ მეფეს წარმოუდგა თვალ-წინ ის საშინელება, ის განადგურება ქართლისა, რაიც მოსალოდნელი იყო თუ ვინიცობაა გაიმარჯვებდნენ ლეკ-ოსმალონი. ჩამოვრდა მეფე ცხენიდან, ცალი მუხლით დაუჩოქა ტოტლებენს და შეევედრა: ღმერთმა ხო იცის მე ოსმალებთან საჩხუბარი არა მქონდა რაო, ძალათ ჩამრიეთ და ახლა კი შუა წყალში მანებებთ თავსაო და თუ თქვენ ომის გერიდებათ ორი ზარბაზანი მაინც დამითმეთო. ტოტლებენმა ამის პასუხათ ცხენი გაქუსლა: „იმპერატრიცა ხონთქარს შეურიგდა კიდევ და მე ნაბრძანები მაქვს წამსვე რუსეთში დავბრუნდე“ — ო.

\*) გეოლოგთა აზრით ეს მთაგრეხილი ამ ადგილას თითონ ვახეთქილა იმ დროს, როდესაც დიდი კატასტროფები ხდებოდა დედამიწის ზურგზე კავკასიაში.

— მე არ შჯეროდა და ახლა კი ჯკუზე ახლოა.

— ბრძანეთ თავადო.

— ჩვენს სახლში ერთი მოხუცისაგან გამიგონია; რუსის ჯარი მღეთის აღმართს რო ავიდა, გულაურის სადგურთან ისვენებდა, მაისის მშვენიერი დილა იდგა. ტოტლებენმა დურ-ზინდი აიღო ხელში და არაგვის ტურფა ხეობას გადმოხედა, მოკრიალე ლაჟვარდი ცა მზის სხივებ-შარავანდელით სურნელებას უკმევდა ზურმუხტის ფრად გაშლილს ვაზის და ვარდის ქვეყანას. არაგვი კი ვერცხლის გველივით ბრწყინავდა-იკლაკნებოდა. აღტაცებულმა ღენერალმა დემონივით გადმოსძახა რუსულათ. „სამოთხის ქვეყანავ, საოცნებო საქართველოვ, შენ ხარ ჩვენთვის საჭირო, და არა შენი ხალხი.

— ვინ იცის, ქართველები რომ არა ყოფილიყვენ იქნება რო რუსეთს დაღესტანი ჯერაც ვერ დაეპყრო და ვერც ოსმალეთზე და სპარსეთზე გაიმარჯვებდა ისე უძღველათ. ყველგან ბრძოლაში უმთავრესად ქართველი ღენერლები იმარჯვებდნენ, ქართველი ჯარი ყოველთვის წინ იბრძოდა, წინ უძღოდა რუსის მხედრობას. ამის დასამტკიცებლათ წაიკითხეთ ღენერალ ფადეევის აზრი, ამ ოციოდე წლის წინეთ წარმოთქმული, შეეძლო თუ არა რუსეთს უქართველებოთ აზიის დაპყრობა!?

სოფელ ქვაბის-ხევიდან მტკვარი ქმნის ბორჯომის საუცხოო ხეობას, რომლის მშვენება, ბუნების სურათების სიმდიდრე, ოდესღაც საქართველოს სიამაყეს შეადგენდა. ბორჯომში იწყება წესიერი „ნავოსნობა“ მტკვარზე. აქ ხეობაში მრავალგან არის კარგად მოწყობილი სტოფა, სადაც ჰკრავენ ღიდროვან ორ-კეც ტივებს და თბილისამდე მტკვარს აქამდინაც აზიდვინებენ.


ბორჯომიდან გამოსული მტკვარი, ქვიშეთს დაინახავს თუ არა, პირს იბრუნებს აღმოსავლეთისკენ, სურამის მინდორ-ქაღლებს რო გაათავებს, ჩაუფლის ურბნისის მაღალ ტაძარს, ქარელის პირდაპირ, ქალ. გორთან. გორი-ჯვართან მარცხნიდან შეირთავს გიჟ ლიახვს და აქედან პირს იზამს სამხრეთ აღმოსავლეთისკენ და ამ მიმართულებას ბოლომდე აღარა სცვლის.

გორიდან წამოსული მტკვარი მარცხნივ ჩაუვლის კლდის ქალაქს უფლა-ცხეს, შიგ მღვიმელის მონასტერს და ჩადის დედა-ქალაქში მცხეთას, სადაც საუკუნოთ განისვენებს ამაგ-დარი მეფე ერეკლე. მცხეთასთან მღვრიე მტკვარს ერთვის, სვეტი-ცხოველის და ჯაჭვის მონასტერთ შუა, წმინდა, ანკარა აკაგვი. აქედან მტკვარი მიაშურებს ვახტანგ-გორგასლანის დედა-ქალაქს თბილისს. აქ მარჯვნივ მიუალერსებს სიანის ტაძარს და აქედან გაქანებული ეძგერება მარცხნივ მდებარე მეტეხის ციხის კლდეს, სადაც ჩაფარდება მტკვარი მუხრანში — ორ კლდეთა შორის ღრმა და ვიწრო კალაპოტში, თითქოს განგებ, რომ ადვილი ყოფილიყო მასზედ ხიდის გადება. მეტეხის ციხეს თავს დააღწევს თუ არა, მტკვარი ტყვეობიდან ნელ-ნელა იმართება წელში, ჩაუვლის მარჯვნივ საბუდისწყრთ კრწანისის ველს და ჩასცილდება თუ არა ყარსის რკინის გზის ხიდს და წმიდა ბარბარეს, თავისუფლდება. ამის შემყენებელი აღარაფერია არის და აღარაფერია!.. თავისუფლათ შლის ფრთებს საითკენაც მოისურვებს. თბილისიდან ორმოციოდე ვერსის მანძილზე მარცხნივ ჩაუვლის ზემო კარაიხას მინდორს, სადაც ოდესმე ქართველთ ბერ-მონაზონთა მეუღაბნოეთა, ვით საფუტკრეში, წირვა-ლოცვა და წმიდა გალობა გუგუნებდა. აქ არის დიდებული ნათლის-მცემლის მონასტერი და პატარა, უტყეო და უწყალო კლდიან მთაში გამოკვეთილი შესანიშნავი წმ. დავით გარეჯის უღაბნო 12 მონასტრით.

ამ წმიდა ადგილებს რო ჩასცილება მტკვარი ვაიფლის კიდევ ორასიოდე (200) ვერსს და ქვემო უარაახთან ბოლოს უახლოვდება სამუხს (ბინებს) და აქ დედობრივი სალამით იხუტებს გულში ორთავე და-ძმას, ტყუბებს, იფხსა და აფხსანს.

(შემდეგი იქნება)

ილ. ალხაზიშვილი.



# პირველ-ყოფილ ადამიანის ყოფა ცხოვრება

## III.

ზნე-ჩვეულებანი ველური კაცისა.



ველურებს დაწერილი კანონები არა აქვთ; მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ თითოეული კაცი ისე ცხოვრებდეს, როგორც მოისურვებს, ანგარიშს არავის არ უწევდეს თავის ცხოვრებაში. ველურებისთვის კანონათ ითვლება მისი თემის ზნე-ჩვეულებანი, დაწესებულნი მათი უძველესი წინაპრებისაგან.

„ასე იყო ძველათო“, „ასე მოქმედებდნ ჩვენი წინაპრნიო“, „ასე გვიბრძანებდნ ჩვენი მოხუცებულნიო“, ამბობს ველური, და ეს არის მისი კანონი, მცნება მისი წინაპრებისაგან დატოვებული, რომელსაც ყმასავით ემორჩილება, თუ მან დაარღვია ეს კანონი—მას მოელის სასტიკი სასჯელი, იმას სთვლიან საზიზღარ ადამიანათ თავის თემში.

„ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“ ამბობს ქართული ანდაზა. მართლაც დიდი ძალაა ჩვეულება საზოგადოთ ყოველ ხალხში, მომეტებულათ ველურებში.

ბევრი მათი ჩვეულებანი ჩვენ სიცილს მოგვგრის, იმას კი წმინდანათ მიაჩნია და თაყვანს სცემს. უფრო მტკიცეთ ეკიდება, ვიდრე ჩვენ ჩვენგან დაწესებულ კანონებს. აი ავიღოთ თუნდ უბრალო მაგალითი, მათი მისალმება, რომელზედაც, ბევრ დროს ანდობებენ.

როდესაც მალაეცი ელაპარაკება თავის უფროსს ის ნიშნათ დიდი პატივისცემისა—ჯდება; აფრიკელი ველური კი იმავე დროს დაჯდომის მაგივრათ თავის უფროს ზურგს შეაქცევს; კაფრები პატივის ცემის გამოსახატავათ მოჰყვება სტვენას, ზოგი კიდევ მისალმების დროს მარჯვენა ხელს ასწევს, მიიღებს შუბლზე ისე, რომ ცერი ცხვირს მოხვდეს; ესკიმოსები ალერსის გამოსახატავათ ერთი მეორეს ცხვირს გაუწევს, სწორეთ ისე, როგორც ჩვენში ბავშვს ყურებს აუწევენ ხოლმე, მაგრამ ჩვენ ხომ ამით სრულებითაც ალერსს არ გამოვხატავთ. ყველა ეს ჩვენ სასაცილოთ მიგვაჩნია, მაგრამ ვინ იცის, იქნება ჩვენი ადათებიც მათ სიცილს ჰგვრის.

ზოგი ველურების მისალმებას მონური ხასიათი აქვს. მაგალითად, უმცროსი უფროსის წინაშე იჩოქებს, გულზე და ხელებზე მტვერს იგლისებს, მერე ტაშს უკრავს სანამ საპა-



მისალმება ველურთა შორის.

ტიო პირი არ მოშორდება მას. ინდოელი სადაც კი უნდა შეხვდეს თავის ნაცნობს ქუჩაში იქნება თუ მოედანზე, მოჰყვება ტაშის დაკვრას, დაეცემა მიწაზე და როგორც ოთხფეხი

ცხოველი ფორთხავს, ჰკოცნის მიწას, მერე ნელ-ნელა ადგება, დაიწყობს ხელებს გულზე, ვითამც მხურვალეთ ლოცულობს. ხედავთ, რა საზიზღარი მიწამძრომლობა, ადამიანის დამცირება იხატება ყველა ამაში!

რაც უფრო უვიცია და შეუგნებელია ველური, მით უფრო მონურათ ემორჩილება თავის უფროსს.

აქ მოვიყვანთ კიდევ ერთ საზიზღარ მონურ საქციელს. მაგალითათ: თუ რომ საპატიო პირმა წაიბორძიკა და ფეხი იტკინა, მაშინვე ყველა იქ დამსწრენი დაეცემიან მიწაზე და იტკენენ ფეხებს, თუ ასე არ მოიქცენ რას იტყვის ის დიდი კაცი, ნუ თუ ის ისეთი მოუხეშავია, რომ ასე ადვილათ წაიქცა, ამისთანა სირცხვილი ხომ ძნელი ასატანია. ბევრი სხვა და სხვა მისალმებთა შორის ველურების ცხოვრებაში საპატიო ადგილი უჭირავს ცეკვა-თამაშს. ჩვენ ზევით უკვე მოვიხსენეთ, რომ ყოველი ომის, წინ ან გამარჯვების შემდეგ ველურები მართავენ გიჟურ გადაჭარბებულ ცეკვა-თამაშს! აგრეთვე ცეკვა-თამაშით ველური მარხავს მახლობელ ადამიანს, ან დღესასწაულობს შვილის შეძენას, შვილის დაქორწინებას. თუ ერთი თემი მეორე თემს უგზავნის ელჩებს მოსალაპარაკებლათ, ესენი მიდიან ცეკვა თამაშით, მათთან, ამათი სიმღერა უფრო მხეცის ღრიალს მოგაგონებს, ვიდრე მწყობრიო სიმღერას. თუ მონადირეებმა დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოჰკლეს კამეჩი, ისინი მართვენ ასრეთ წოდებულ „კამეჩის“ ცეკვას, იმ იმედით, რომ ამის შემდეგ უფრო ნაყოფიერი ნადირობა ექნებათ. რა არის „კამეჩის“ ცეკვა? მონადირეები თავზე იხურავენ რქებიან კამეჩის თავს, ტანზე მისვე კუდს მიიკრავენ, ჩაჰკიდებენ ერთმანეთს ხელებს, აკეთებენ წრეს, ხტუნაობენ, ცეკვამენ, მღერიან, დოლ-ნაღარაზე ურტყავენ და ისეთი აურ-ზაური აქვთ, რომ არე-მარეს აყრუებენ, თუ რომელიმე მათგანი მოიღალა და გამოვიდა წრიდან, მის მაგივრათ მაშინვე მეორე ჩადგება წრეში, წრიდან გამოსული თითქო დაკოდლილი კამეჩიაო, იგრიხება და მიწაზე ფართხალით დაეცემა.

ერთი სიტყვით ნათლათ ჩანს, რომ ველურის ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ცეკვა-თამაშს. ახლა მოკლეთ თვალი გადავავლოთ ველურების იმ ზნე ჩვეულებებს,





რომლითაც გავიცნობთ მათ შეხედულებას ადამიანზე, რა მი-  
აჩნიათ იმათ ავით და კარგათ, რითი განსხვავდება მათი ყოფა-  
ქცევა ჩვენი ყოფა-ქცევიდან და სხვ.

მოგზაურები ყველა ერთი აზრისა არიან ველურებზე, ზო-  
გიერთი მათგანი ველურებს თვლიან მტარვალებათ, შურის  
მაძიებლათ, უპატროსნათ, ზოგი კი სულ წინააღმდეგი აზ-  
რის არიან; ველურებში ხედვენ სულგრძელობას, სამართლიან-  
ობას, პატიოსნებას, შვილებისადმი სიყვარულს, უფროსები-  
სადმი პატივისცემას.


ყოველ ხალხს აქვს თავისი საკუთარი შეხედულება ავზე  
და კარგზე, სამართლიანობაზე და უსამართლობაზე. საქმე  
იმაშია, რომ შესაძლოა რაც ჩვენ კარგათ, სამართლიანათ  
მიგვაჩნია, ველურს ის ავით და უსამართლოთ მიაჩნდეს, რა-  
საც ჩვენ სამარცხვინოთ ვთვლით, ველურის თვალში მოსაწო-  
ნი საქციელი იყოს.

აბა გავეცნოთ ზოგიერთ მათ ადათებს, ჩვეულებებს. ერთი  
მოგზაური გვიამბობს, რომ ის უდაბნო ადგილში შეხვდა  
ერთ ღრმათ მოხუცებულს ველურს, რომელიც ყოფილა  
ახალ-გაზრდობაში გამოჩენილი სარდალი. ეხლა კი საწყალი,  
თითქმის დაბრმავებული, ცოცხალ-მკვდარი მიტოვებული თა-  
ვის თემისაგან უდაბნოში, სიცივით ძაფაგებდა და ახლოს  
ეკროდა მბუხუტავ ცეცხლს, მას ხელში ეჭირა ძვლები და  
გვერდით ედგა ერთი ჯამი წყალი—ეს იყო ასე მარტომარ-  
ტო, ღვთის ანაბარა, მიტოვებული. საბრალო მოხუცი! როცა  
ამ ადგილზე ველურებმა გასწყვიტეს ნადირი, ისინი წავიდნენ  
ახალ ადგილის საძებნელათ, ამ მოხუცმა კი ველარ შესძლო  
მათთან ხეტიალი და აქ დარჩა; სწორეთ ამ მოხუცებულმა, კარგა  
ხნის წინეთ, მიაჯოვა და გასწირა სასიკვდილოთ თავისი უდა-  
ნაშაულო, დასნეულებული მოხუცი მამა, რადგან მას აღარ  
შეეძლო მუშაობა და მათ უკან გაყოლა. ჩვენთვის რასაკვირ-  
ველია ეს მოვლენა გაუგებარია—როგორ შეიძლება ავით-  
მყოფი და მოხუცი დაადგო უპატრონოთ, მარტოთ-მარტო  
უდაბნო ადგილში! საწყალი ველურები კი სხვა პირობებ-  
ში არიან, ისინი მუდამ დახეტიალობენ თავის გამოსაკვებათ  
და ამისთვის სხვანაირათ სჯიან. ავითმყოფნი და მოხუცნი  
მათთვის მეტი ბარგია, ხელის შემშლელნი და არ შეუძლიანთ

მველა არსებითი პურის მოპოებაში. რა არის ამ საცოდავების ცხოვრება—არ შეუძლიანთ არც ნადირობა, არც ცეკვა-თახში; გზა მათ წინ ხიფათით სავსეა, საჭმელის მოსაპოებლათ ქუდამ ხეტიალი, მხეცებთან ბრძოლა, მტერთან შეტაკება! სად უნდა ათრიონ ეს მოხუცებულები და არც თვითონ მოხუცე-ბულები მოინდომებენ ამ გვარ ცხოვრებას, ისინი არჩევენ მარტოთ მარტო სიკვდილს, როგორც ამ მოხუცს აურჩევია და ამისთვის უსახლ-კარო მოხეტიალე ველური ირჩევს ორში ერთს—ან უნდა მოკლას უძლური, თუნდ მამა იყოს, ან უნდა მიატოვოს ძველ ბინაზე მარტოთ-მარტო სასიკვდილოთ. ძნელი გასამტყუნარია ველური. ეს ხომ უპირველესათ ველურია, ესეგი უფრო უფიცი, ბრყვი არსება, ვიდრე ვინმე ჩვენგანი-გარდა ამისა მისი სიმკაცრე—სისასტიკე აიხსნება საშინელი კაჭირებისაგან, რომელსაც განიცდის ველური არსებითი პურის მოსაპოებლათ. ბოლოს ისიც უნდა გავიხსენოთ რომ ის თემები, რომელნიც ერთ ადგილზე ცხოვრობენ, საზრდოც საკმაოთ აქვთ და გაშორებით უფრო სიყვარულით და ყურადღებით ეპყრობიან თავის მოხუცებულებს და ავათმყოფებს, ვიდრე სხვები.

(შემდეგი იქნება).

იტა ნაკაშიძე.



# ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა

(თომა ალვა ედისონი).

II.



ლვა ედისონს დაუდგა ისეთი ხანა, რომ ერთ ადგილას ვერა ჩერდებოდა. ხან აქეთ აწყვეტდა თავს, ხან იქით, ამის მიზეზი უსათუოდ ის იქნებოდა, რომ საშინლათ უყვარდა ყოველი საგნის გასინჯვ-გამოძიება და თანაც დი-

დი ხალისი ჰქონდა მოგზაურობისა.

ქალაქს სტრაფორდში მან იშოვა ღამის სამუშაო—ტელეგრაფისტის ადგილი, თვეში 25 დოლარს აძლევდენ. ეს სამსახური ძალიან ძნელი იყო და უფროსი სულ უბრალო საქმისთვისაც კი სასტიკათ სჯიდა. მის ხელქვეითებს მუშაობის დროს ღამე რომ არ დასძინებოდათ უცნაური წესი შემოიღო. ტელეგრაფისტს ყოველ ნახევარ საათში უნდა ეცნობებინა უფროსისთვის შემდეგი ნიშნით: six, ესე იგი ექვსი.

საუბედუროთ, ედისონი ღამღამეობით ხოლმე ძალიან დაღალული იყო და სულ ეძინებოდა. დღე ჩვეულებრივ ქალაქ გარეთ დასეირნობდა, ან მეზობელ ტელეგრაფისტის სადგურებში მიდიოდა. ხშირათ ისე მოუგვიანდებოდა, რომ ძლივ ძლიობით მოუსწრობდა დროზე მორიგათ შესვლას. რასაკვირველია, ღამე ძილი მოერეოდა.

ედისონი დიდ ფიქრში იყო, როგორ აემორებინა თავიდან და ყოველ ნახევარ საათში არ მიეცა ნიშანი უფროსისათვის. ერთხელ ჩინებულმა აზრმა გაურბინა თავში. საათს მიამაგრა პატარა ბორბალი, რომელზედაც საქდელი იყო და ეს ბორბალი მავთულით შეუერთა ტელეგრაფის მანქა-

ნას. ყოველ ნახევარ საათში მავთული ბორბალს მოედებოდა და მანქანაზე გაისმოდა სიტყვა „six“ ექვსი. ამავე დროს კი ედისონის ხვრინვა საშინელის ხმაურობით გაისმოდა მთელ ოთახში.

ედისონს ეშმაკობა დიდხანს ვერ გაუგეს. მაგრამ ერთხელ ტელეგრაფისტებმა შეამჩნიეს, რომ ყოველთვის, როდესაც ტელეგრაფი გადასცემდა სიტყვა six—ისინი თავიანთ მანქანაზე ვერ გამოიყვანდნენ S და X. მაშინვე გამოძიება მოახდინეს და ედისონს შეუტყვეს ცუდლუტობა. ამ ხელათ არა დაუშავდა რა.


მაგრამ მეორე ამბავმა ედისონს სწორეთ ცუდი დღე დააყენა.

ამერიკაში ყოველ რკინის გზის სადგურზე დაყენებული არიან ზედამხედველები, რომელნიც მოვალენი არიან ყოველ შემთხვევაში იზრუნონ და ეცადონ მატარებელს უბედურება ააცდინონ. მათ უნდა იცოდნენ ყოველ წამში სად არის მატარებელი, როდის უნდა მოვიდეს, რა წამს უნდა გაისტუმროს, გასაველელი გზა თავისუფალია თუ არა. ამასთანავე უნდა აცნობონ სადგურის უფროსს ტელეგრაფით როდის გავლის იქ მატარებელი, რომ გზა თავისუფალი დაახვედრონ.

ედისონს დავალებული ჰქონდა, რომ როგორც კი ზედამხედველი უბრძანებს, ტელეგრაფით აცნობოს მახლობელ სადგურს მატარებელის შეჩერება, ან გასტუმრება, აგრეთვე უნდა ზედამხედველს გადასცეს ხოლმე მატარებლის მოსვლა.

ერთ ღამეს ედისონს უნდა თვალ-ყური ედევნებინა და სადგურზე საქონლის მატარებელი შეეჩერებინა. მატარებელი ჯერ არ იყო მოსული და მან კი ტელეგრაფით აცნობა ზედამხედველს მატარებლის მოსვლა და თვითონ სასეირნოთ წავიდა იმ იმედით, რომ მოუსწრობს კიდევ. მაგრამ მატარებელმა სადგურს გაუარა, რადგან მემანქანემ შეჩერების ნიშანი არ მისცა.

ედისონი მიხვდა, რომ მისი დაუდევრობით საქმე ცუდათ დატრიალდებოდა და გულის ფანცქალით გაეშურა—იქნება მატარებელს დავეწიოვო. მახლობელ პატარა სადგურზე მატარებელი ხოლო ორიოდ წუთით ჩერდებოდა ბარგის მისაღებასა და ჩქარობდა ისე დელავდა და ჩქარობდა იქ მისვლას, რომ თვალეები დაუბნელდა და გზაში ხვრელში ჩავარდა. სანამ იქიდან ამოფოფხდებოდა—მატარებელმა გაუსწრო.



ედისონი მაშინ სწრაფლათ მივარდა ტელეგრაფს და ხმის კანკალით შეატყობინა მახლობელ სადგურზე: ახლავე შეაჩერეთ მატარებელიო, მაგრამ ახლაც დაავიანდა. ორივე მატარებლები გზაში შეეჯახენ ერთმანეთს. დიდი უბედურება მოვლოდათ ყველას. ხოლო მემანქანის სიფხიზლემ და გამჭრიახობამ გადაარჩინა ხალხი.

ტელეგრაფის დირექტორი საშინლათ განრისხდა და უბრძანა: მომგვარეთ ახლავე ეგ დამნაშავეო.

— ყმაწვილო, შენ დიდი დანაშაულობა მიგიძღვის, უნდა სასტიკათ, სამაგალითოთ დაგსაჯო, რომ სხვებმაც არ გაბედონ მაგისთანა დაუდევრობა. იცი, რომ ხუთი წლით დატუსაღება მოგეღისთ... და...

დირექტორმა არ დაამთავრა თავისი მუქარა, რადგან ამ დროს კანტონარაში შემოვიდა ორი ვილაც კაცი. ეტყობოდათ რომ ძალიან საჭირო საქმეებზე მოსულიყვენ, რადგან დირექტორი მაშინვე მიუბრუნდა იმათ და დაუწყო ცხარეთ ლაპარაკი.

ედისონს აღარავინ მიაქცია ყურადღება და ისიც შეუმჩნევლათ გაიპარა ოთახიდან.

ყმაწვილი საჩქაროთ მივარდა მატარებელს, რომელიც ის იყო უნდა წასულიყო სარნიაში. მან მემანქანე დაარწმუნა, რომ სამსახურის გამო ის უნდა უსათუოდ გაჰყოლოდა მატარებელს და შევარდა შიგ. ყმაწვილი გზაში სულ ღელავდა და სანამ სულ არ გასცილდა სარნიას, არ გადავიდა შეერთებულ შტატში და არ დაადგა პორტ-გურონის გზას ის ვერ დაეშვიდდა.

მან სულ ცოტა ხანს დაჰყო თავის დედა-ქალაქში, მაგრამ მაინც თავი იჩინა ისე, რომ სახელი გაითქვა მთელ ჩრდილოეთ ამერიკაში.

ამ დროს საშინელი სასტიკი ზამთარი იდგა, დიდრონი ყინულის გორაკები გურონის ტბიდან მოცურავდენ და გზასა ჰკრავდენ; მთელა სენ-კლერის მდინარე, რომელიც სარნიას და პორტ-გურონის შუა მეტათ განიერია, ისე შეიკრა, რომ დებეშების ბოძების მავთულები გაწყდა და ამ ორ ქალაქ შუა მოისპო ტელეგრაფის გაგზავნა-გამოგზავნა. ტელეგრაფის შეერთება რკინის გზისთვის მეტათ საჩქარო და საჭირო იყო, მაგრამ ვერავის ვარაფერი გაეწყო.

მიმართეს ედისონს და ყმაწვილმა სულ ადვილათ მოახერხა.

მან რკინის გზის ორთქლის მანქანა მდინარეს მიუახლოვა და მანქანის ფანტურში ჩასძახა:

„ალოო, სარნია! ისმის, რასაც ვამბობ?“.

რასაკვირველია მარტო მანქანა ვერ გადასცემდა ამ სიტყვებს, თუ რომ ტელეგრაფის ნიშნებით არ დახმარებოდა ედისონს. მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ ბურუსში იკარგებოდა ეს უცნაური ხმები. პორტ-გურონის მცხოვრებლებმა თავი მოიყარეს ამ საორთქლე მანქანასთან. ყველამ დაუწყა ყმაწვილს დაცნევა, გაკვირვებით მხრებს იწვედენ. არავის სჯეროდა, რომ ამ საორთქლე მანქანის ფანტურის საშუალებით შეიძლებოდა მდინარის გაღმა მიეწვდინებინათ ხმა. ედისონი ყურადღებას არავის აქცევდა და დიდი მოთმინებით საქმეს ადგა.

წამ და უწუმ ორთქლის მანქანიდან გაისმოდა ერთი და იგივე:

„ალოო, სარნია, ისმის, რასაც ვამბობ?“

ბოლოს სარნიაში მიაქციეს ყურადღება ამ უცნაურ ხმებს, რომელიც შეუწყვეტლივ საათში ერთხელ მოისმოდა.

ტელეგრაფისტებმა დაუგდეს ყური და მიხვდნენ რაშია ციყო საქმე. მაშინვე სარნიას მხრიდანაც მიუყენეს მანქანა და პორტ-გურონში მოისმა გარკვევით:

„მესმის რაშია რაქმე?“

ედისონს დიდი ამბით ვაშა, ვაშა, დასძახეს.

სარნია და პორტ-გურონი იქმნენ ტელეგრაფით აღრიზდელივით შეერთებული, ხოლო ორთქლის მანქანით.

თექვსმეტი წლის ყმაწვილის გამოგონებამ ყველას ყურადღება მიიქცია. მაშინვე ადგილი მისცეს, ტელეგრაფისტათ დაწინივნეს.

წინეთაცა ვთქვით, რომ ედისონს არ უყვარდა ერთ ადგილას გაჩერება.

მეჩვიდმეტე წელიწადში მან უკვე ბევრი ქალაქები მოიარა და ყველგან თავი გაითქვა, როგორც დახელოვნებულმა ტელეგრაფისტმა, თანაც ბევრს მუშაობდა ელექტრონის მანქანების გასაუმჯობესებლათ.

ინდიანობოლში მან მოიგონა ისეთი თვით მომუშავე მანქანა, რომელსაც შეეძლო უტელეგრაფისტოთ ერთი ადგილიდან მეორეზე გადაეცა დეპეშა. მცოდნე პირებმა ამას დიდი ყურადღება მიაქციეს, თუმცა ედისონმა სულ სხვა მიზნით გამოიგონა:

ედისონს და მის ამხანაგს ჩაბარებული ჰქონდათ გაზეთებისთვის ღამის ტელეგრაფების მიწვდენა. როდესაც ტელეგრაფები ზედი ზედ დიდი სიჩქარით მოდიოდა ამ ყმაწვილებისთვის ძალიან ძნელი იყო სატყუა-სიტყვით მისი გადაცემა.

მაშინ ედისონს ფიქრათ მოუვიდა დეპეშების მისაღები ორი მანქანა ერთად შეერთებინა იმ მიზნით, რომ როდესაც ერთი მანქანა მიიღებდა ერთ წამში 40—50 სიტყვას—იმავე დროს მეორე მანქანა გზავნიდა ამათ დაუხმარებლათ 20—30 სიტყვას. ედისონს და მის ამხანაგს ამ საშუალებით ჩინებულათ მიჰყავდათ საქმე და ინდიანობოლის გაზეთები გაკვირვებული იყვნენ რა სინამდვილით და დროზე მიუდიოდათ ცნობები.

სანამ ედისონი საიდუმლოთ ინახავდა თავის გამოგონებას, მისი უფროსი ძალიან კმაყოფილი იყო, რომ ამგვარი სინამდვილით და დროზე ამბების გადაცემა შეიძლებოდა და მისი სრული ნდობა ჰქონდა, აბარებდა ყოველ გვარ საიდუმლო დეპეშების გაგზავნას. ბოლოს საქმე ისე დატრიალდა, რომ ამ გვარ გამოგონებამ ედისონს კაი დღე არ დააყენა. მართალია დეპეშებს დიდი სინამდვილით გადასცემდა ხოლომე, მაგრამ ზოგჯერ სისწრაფე აკლდა და ერთხელ, როდესაც პარლამენტში დიდი კამათი ატყდა, რაღაც ახალ კანონის შემოღებაზე—მისი ანგარიში დროზე ვერ გადასცეს ყმაწვილებმა და ამ ორიანი მანქანის წყალობით—ორი საათით დაუგვიანდათ გაზეთებს ეს ამბავი.

გაზეთებმა იჩივეს და ტელეგრაფის უფროსმა გამოძიება მოახდინა, ნახეს ორიანა მანქანა და უფროსმა იმ წამსვე ედისონი სამსახურიდან დაათხოვა. ყმაწვილს ფიქრათაც არ მოსდიოდა, რომ მომავალში ამ გამოგონებას გენიოსისთვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

ინდიანობოლიდან ედისონი წავიდა ცინცინატიში და იქ მაშინვე ადგილი იშოვა, თვეში 60 დოლარი დაუნიშნეს.

ამ ახალ ადგილას ედისონი მარტო დღითი მუშაობდა. ერთ საღამოს ტელეგრაფისტებს კრება ჰქონდათ და მუშაობის მაგივრათ ყველა იქ გაიკრიფა. ედისონმა მთელი ღამე სამი კაცის მაგივრათ იმუშავა და დღით 8 საათზე მაინც თავის ადგილას გამოცხადდა. ეს ამბავი შეიტყო თუ არა უფროსმა ჯამაგირი მოუმატა, თვეში ას ხუთი დოლარი გაუხადა და ჩააბარა ცინცინატის და ლუიზიანის ტელეგრაფის უმთავრესი შტო. ამას ედისონისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამ გზაზე მაშინ ტელეგრაფისტათ იყო ერთი ყმაწვილი კაცი სიმარჯვით გათქმული. ედისონი გაუჯობრდა ამას და ისეთი სისწრაფით მუშაობდა, რომ მთელ შეერთებულ შტატებში გაითქვა სახელი საუკეთესო ტელეგრაფისტისა:

მაგრამ ედისონს ვინ გააჩერებდა ერთ ადგილას, თანაც უნდოდა ბევრი ფული ემოვნა, რომ დედამისთვის უფრო მეტი მიეწოდებინა. ამან ააძულა ტენესისის შტატში წასულიყო, სადაც ჯამაგირი გაუხადეს 125 დოლარი. სწორეთ ამ დროს, ამ ტელეგრაფის სადგურის უფროსი ცდილობდა მოეგონებინა ისეთი მანქანა, რომელიც უტელეგრაფისტოთ გადასცემდა დებეშებს ნიუ-ორკიდან—ნიუ-ორლენში, მაგრამ უნიჭო იყო და ჩვეულებრივ ვერაფერს ვერ ახერხებდა.

ედისონი მაშინვე მიხვდა, რომ მისი გამოგონილი თვით მომუშავე მანქანა სწორედ ახლა გამოდგებოდა. რამდენჯერმე სცადა და ცდამ მშვენივრათ ჩაიარა. მისმა უფროსმა რომ შეიტყო. საშინლათ განრისხდა. მას ვერ წარმოედგინა, რომ ვიღაც მისს ხელქვეითს, უწვერ-უღვაშო ყმაწვილსა შესძლებოდა მოეგონა ის, რაც ვერ მოიგონა თითონ, ამისთანა განთქმულმა ადამიანმა. არ იცოდა რა ექნა? ამისთანა მარჯვე ტელეგრაფისტს მუშაობას ვერ დაუწუნებდა.

ბოლოს უფროსის განრისხებამ იქამდის მიაღწია, რომ ყმაწვილი ცუდ უბრალოთ დააბეზლა და მერე, როგორც უვარგისი ტელეგრაფისტი დაითხოვა.

ედისონის გენიოსურმა გამოკვლევამ ხელმეორეთ უბედურება დაატეხა მას. მერე რა, უბედურება ახლა მეტათ საგრძნობელი იყო. უმეტეს ნაწილს თავის ჯამაგირისას დედ-მამას უგზავნიდა და სწორეთ სამსახურიდან გამოგდების წინეთ თითქმის მთელი თავისი ჯამაგირი იმათ გაუგზავნა. გარდა ამისა



სხვა და სხვა გამოცდაზე ყმაწვილს ბევრი ფული ეხარჯებოდა და ახლა ის სულ უგროშოთ, ძველი ტანისამოსის ანაბარათ, შარა გზაზე დარჩა. ზამთარი ახლოვდებოდა და ედისონი კი ზაფხულის ტანისამოსით იყო.

მაგრამ ედისონი აგრე ადვილათ არ ჩამოჰყრიდა ყურებს. მან გადასწყვიტა ლუიზიანში ფეხით წასულიყო.

ეს გასეირნება კაი ასი ვერსის მანძილი იქნებოდა. რა უჭირდა, ის ხომ ღინიერი და ჯან მრთელი იყო! ამასთანავე მას თავში ათასგვარი ერთი მეორეზე უკეთესი და გაბედული აზრები უტრიალებდნენ.

ადვილი წარმოსადგენია ლუიზიანში რა ყოფით მივიდოდა. ამინდი ცუდი დაუდგა, ქუჩები ყინულით სავეს იყო, საცოდავი ძლივ ძლიობით აბიჯებდა. დაღალული, ცოცხალ-მკვდარი, გაყინული, ზაფხულის ტანისამოსით რე ჩაღის ქუდით აი, ასე შევიდა ყმაწვილი ქალაქში. აბა რა გუნებაზე იქნებოდა, როდესაც მიადგებოდა ტელეგრაფის კანტორას ადგილის სათხოვნელათ.

ტელეგრაფისტებმა დაცინვით აათვალ-ჩაათვალიერეს საწყალი ყმაწვილი დაგლეჯილი ტანისამოსით, უფროსმაც ეჭვის თვალით გადახედა. ედისონს ერთს წამს უნდოდა თავი დაენებებინა და გამოვარდნილიყო იქიდან, მაგრამ რას გააწყობდა, დაცხრა და მოუყვა თავის ამბავს—ადგილიდან რათ გამო-აძიეს. თანაც სთხოვდა უფროსს, გამომცადეთო. ყმაწვილი გამოსცადეს და აიყვანეს ტელეგრაფისტათ.


ედისონმა ლუიზიანში ორი წელიწადი დაჰყო. აქ ხშირათ გაზვიადებული ლაპარაკი ესმოდა, რომ სამხრეთ ამერიკაში დიდ-ძალი ოქროს მადნებია, სულ ნიჩბით სახვეტიაო.

ედისონმა არ იცოდა დიდხანს ფიქრი, მაშინვე შეჰკრა ბარგი და ორი ამხანავით გასწია სანატრელ ოქროს ქვეყანაში. ახალ-ორლებანამდის კი მიახწიეს ამ ოქროს მაძიებლებმა, მაგრამ იქ სანდო პირებისაგან შეიტყეს, რომ ყველაფერი ტყუილია და უკანვე დაბრუნდნენ.

ლუიზიანში ედისონი დიდი მუყაითით მუშაობდა. ისე დახელოვნდა, რომ ერთ წუთში ორმოცდა ხუთ სიტყვას გაგზავნიდა, თანაც იმდენ ღროს შოულობდა, რომ ემეცადინა და ელექტრონის ძალა გამოსაცდელათ ეხმარა.

მისი უმთავრესი საქმე დებეშების მიღება იყო გაზეთების გადასაცემათ. ერთხელ მან ისეთი გრძელი დებეშა მიიღო, რომ ცამეტი საათი "შეუწყვეტლივ მოანდომა მუშაობას. ამ დებეშას ნაწილ-ნაწილათ გზავნიდა და ყველაფერი დროზე ჩააბარა. მაშინდელ დროისთვის ეს სწორეთ უცნაური საქმე იყო, და გაზეთების პატრონებმა მადლობის ნიშნათ ამისთანა მარჯვე ტელეგრაფისტს დიდებული სადილი გაუმართეს.

(გაგრძელება შემდეგ).



...თავიდანვე მისი საქმე...  
 ...მისი უმთავრესი საქმე...  
 ...ერთხელ მან ისეთი გრძელი...  
 ...ცამეტი საათი "შეუწყვეტლივ...  
 ...ამ დებეშას ნაწილ-ნაწილათ...  
 ...გზავნიდა და ყველაფერი...  
 ...დროზე ჩააბარა. მაშინდელ...  
 ...დროისთვის ეს სწორეთ...  
 ...უცნაური საქმე იყო, და...  
 ...გაზეთების პატრონებმა...  
 ...მადლობის ნიშნათ ამისთანა...  
 ...მარჯვე ტელეგრაფისტს...  
 ...დიდებული სადილი გაუმართეს.